

ახალი განათლება

www.akhaliganatleba.ge

facebook.com/Akhali Ganatleba

№31 (905) განთავსებულია 1998 წლიდან

22-28.10.2020

2

თამარ ჯაყელი

რატომ ვერ გარდაქმნა
სკოლა მრავალწლიანმა
რეფორმებმა

5

ლალი ჯვალაძე

რა დეტალები უნდა
გაითვალისწინონ
მასწავლებლებმა
გარე დაკვირვების
დოკუმენტაციის
ატვირთვისას

3

ლათო ფარაძე

როგორ გავხადოთ
სკოლების დაფინანსება
არადისკრიმინაციული

7

სიმონ ჯანაშია

სახელმწიფო უნდა
ეფუძლოს
იმ ვითარებისთვისაც,
როდესაც ისევ
შეიძლება დაიკეტოს
სკოლები

4

ნალია ლაზრულაშვილი

გარე დაკვირვების
გაკვეთილების
მოლოდინები...



თვალსაზრისი

რატომ ვერ გარდაქმნა სკოლა მრავალწლიან რეფორმებზე



თამარ ჯაყალი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და სასკოლო განათლების განვითარების დეპარტამენტის ექსპერტი

მრავალწლიანი საგანმანათლებლო რეფორმების მიუხედავად, სკოლა ვერ გადაიქცა მოსწავლეთა ზრდა-განვითარების სარბილად. რატომ ვერ გარდაქმნა სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულმა მრავალწლიანმა რეფორმებმა? რატომ ვერ აქცია იგი მოზარდების ზრდა-განვითარების სარბილად რეფორმებს, ადვილად დაეინახათ დაშვებულ შეცდომებს. აქ აღვნიშნავთ რამდენიმეს:

✓ დასჯა-ნაზღისების მექანიზმები – პიროვნებაზე და მისი შინაგანი ენერჯიების ამაღლებაზე ორიენტირებული მიდგომების ნაცვლად, სისტემურ დონეზე ავამოქმედეთ იძულებაზე, გარე ზეწოლაზე, კონტროლზე და განსჯაზე ორიენტირებული ბერკეტები. მოსწავლეზე ორიენტირებული რეფორმის გაცხადებული გზავნილი იყო „კონსტრუქციული, პოზიტიური გარემოს შექმნა“, მაგრამ ფარული გზავნილი სხვადასხვადაა: „ვაკონტროლებ თქვენს შედეგებს და დაგსჯით, თუ ვერ მიაღწევთ იმას, რასაც ჩვენ თქვენგან მოვიტხოვთ“. ამ მიდგომის უკან ადვილად ამოიკნობა მექანიციზმები ხედვა, რომელიც ადამიანებს რეფორმის მონაწილე სუბიექტად კი არა, რეფორმის „ობიექტებად“ განიხილავს. ამ ხედვას ჰგონია, რომ შესაძლებელია ადამიანთა გარდაქმნისა და განვითარების პროცესების გარედან მართვა, გარე ზეწოლებით სასურველი შედეგების მიღება. ეს გულუბრყვილო წარმოდგენები ადამიანს გარედან მართულ ობიექტად რომ განიხილავს, უგულვებელყოფს სუბიექტს მთელი თავისი კომპლექსურობით, უგულვებელყოფს პიროვნებას და მოტივებს, რომელიც მას ამოძრავებს კონკრეტული ქცევების განხორციელებისას. რეფორმატორულ გარდაქმნებს ობიექტები კი არა, სუბიექტები ახორციელებენ.

✓ სემინტირებული, დაქუცმაცებული სასწავლო შინაარსები – ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში მხედველობის არედან დაიკარგა გრძელვადიანი მიზნები, ეს კი მოსწავლის განვითარების გზის დაკარგვასაც ნიშნავს. თვითმიზნად იქცა ერთმანეთთან დაუკავშირებელ, დაქუცმაცებულ საკითხთა ურიცხვი რაოდენობის ზერეულად, ზედაპირულად დასწავლა, რაც გონებრივი სტრუქტურების განვითარების ნაცვლად, „უთხლებს ბავშვს ტვინსა, უსუსტებს გონებას და უშუქლებს ჰაზროვნებას“ – როგორც აღნიშნავდა სკოლასტიკური სწავლების შეურიგებელი მოწინააღმდეგე იაკობ გოგებაშვილი. ამ მოსაზრების სიმართლე კონკრეტური მეცნიერების კვლევებმა დაადასტურა – ადამიანის გონება სემინტირებულად, დაქუცმაცებულად, დანაწევრებულად ვერ ვითარდება. მას მთლიანობით და კომპლექსური კონტექსტები სჭირდება.

✓ დეკონტექსტუალიზებული ინსტრუმენტები – განათლების სისტემის სხვადასხვა დონეზე სწავლების, შეფასებისა თუ მართვისთვის გამოიყენება უნიფიცირებული ინსტრუმენტები, რომელიც უგულვებელყოფს კონკრეტული კონტექსტებისა და კონტექსტუალიზების მნიშვნელობას. ასეთ ინსტრუმენტებს წარმოადგენს უნიფიცირებული გამოცდები თუ ტრენინგები; ეროვნული სასწავლო გეგმის ადმინისტრაციული

ლი ნაწილი, რომელიც ყველა სკოლას კონტექსტისგან მოწყვეტილად განიხილავს და უნიფიცირებულ მოთხოვნებს უყენებს; ტერმინებითა და საკითხებით გადატვირთული უნიფიცირებული „პროგრამები“ ანუ სახელმძღვანელოები, რომელიც საკლასო ოთახებში დაჩქარებული ტემპებით, ანუ ზედაპირულად ისწავლება. სად ეჩქარებათ? – დირექტორებისა თუ სხვა ინსტანციების ზეწოლა და დასჯის მუქარა მასწავლებელს მასალის „ამონურვის წნეხის“ ქვეშ ამყოფებს და აიძულებს, ორიენტირებული იყოს არა მოსწავლეების განვითარებაზე, არამედ საკითხების დიდი მოცულობის დაფარვაზე. აი, როგორი სისტემა შექმენით – მოჩვენებითი და ყალბი საქმიანობების მანარმოებელი; სისტემა, რომელიც მოსწავლეებზე და მათ განვითარებაზე ზრუნავს, ცოდნის კონსტრუირება პრიორიტეტული არ არის.

წარუმატებელი რეფორმის საფუძვლები

პირველი და მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა, რაც 2006 წლიდან დაიწყო, არსებულისგან სრულიად განსხვავებული საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებასა და მასშტაბური ცვლილებების განხორციელებას მოითხოვდა. შესაბამისად, მასზე მუშაობის პროცესს, რომელიც ჯერ კიდევ 2001 წელს დაიწყო, პარალელურად მოსდევდა განათლების სისტემის გარდაქმნისთვის საჭირო ისეთი მნიშვნელოვანი რეფორმები, როგორცაა: ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მართვისა და დაფინანსების განსხვავებული პრინციპების შემოღება, ახალი ტიპის ინსტიტუციების განვითარება, რომლებიც პასუხს აგებდნენ ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა-განვითარებაზე, პედაგოგთა გადამზადებაზე, ახალი ტიპის შეფასების სისტემის შექმნა-დანერგვაზე, სახელმძღვანელოების გრიფირების სისტემის შემუშავება-ამოქმედებაზე და სხვა (ამ საკითხებზე იხ.: ჯაყალი, სილაგაძე, 2018).

შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო რეფორმასთან ადაპტირება-შეგუების პერიოდი. სამწუხაროდ, ამ პერიოდის დღემდე საკვანძო ცნება – „პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესი“ – რეფორმატორებმა არსოვრივად ვერ გაივარდნა. შესაბამისად, ეს ცნება ვერ ვაძვირებთ ჩვენი ხედვის, ჩვენი ცოდნის სტრუქტურების ორგანიზაციულ ნაწილად.

ჩვენს კონკრეტულ სისტემაში მუშაობს ისევე ძველი, ყავლაბისული წარმოდგენები, რომელიც ახლით ვერ ჩაჯანსაღვლეთ. ზედაპირულად გაგებული ტერმინი ვერ გასცდა ჩვენი დისკურსის ფარგლებს. ჩვენ ახალი ტერმინოლოგიით შევფუთეთ ძველი წარმოდგენები. მაგრამ ადამიანის საქმიანობას მისი სიტყვები კი არა, ცნობიერების ღრმა შრეებში დამკვიდრებული წარმოდგენები განაგებს. დიახ, ჩვენ ვსაუბრობდით ახალი სიტყვებით, ახალი ტერმინებით, მაგრამ ვმოქმედებდით ძველ წარმოდგენათა მიხედვით. ჩვენს დისკურსსა და ქმედებებს შორის არ იყო თანხვედრა – ვამბობდით ერთს და ვაკეთებდით მეორეს. ვსაუბრობდით პოზიტიურ გარემოზე და ვქმნიდით არაკონსტრუქციულ გარემოს, ვსაუბრობდით პიროვნებაზე ორიენტირებულ პარადიგმაზე და ვქმნიდით „ობიექტზე ორიენტირებულ პარადიგმას“ და მისთ.

წარუმატებელი რეფორმის საფუძვლები, ცხადია, ჩვენს მენტალობაშია საძიებელი. მართლაც, რეფორმა, პირველ რიგში, მენტალობაშია განსახორციელებელი – აქაა სისტემის განახლების საფუძველი. ჩვენს სისტემაში ჩატარებული კვლევების მონაცემები (ეროვნული თუ საერთაშორისო შეფასებების შედეგები, მეორე თაობის სასწავლო გეგმის რევიზიის დროს ჩატარებული მონიტორინგები დაწყებით და საბაზო სარეფორმებზე, ახალი სკოლის ფარგლებში ჩატარებული შეფასებების შედეგები) ცხადყოფს, რომ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა ვერ განავითარებს საკუთარ გონებრივ შესაძლებლობებს. მათი ნაშუაგვრები ადასტურებს სერიოზულ პრობლემებს გაგებასთან, რეფლექსიასა და შემოქმედებით აზროვნებასთან დაკავშირებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს სასკოლო სისტემაში ათიანობით მოზარდია, რომელიც არსებობს, არასრულწლოვანი სკოლაში გაუშვლილი და დატოვებული რჩება. ასეთი მოზარდებს, სისხლისა და სივრცის ნაცვლად, არასრულწლოვანების განცდა ეუფლებათ, რაც ზიანს აყენებს მათ ფსიქიკას, მათ სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებას.

დათრგუნული, გაუშვლილი შესაძლებლობები განაპირობებს აგრესიულ ან დეპრესიულ განწყობებს, რომელთა გამოვლინება, ემოციური აშლილობისა თუ დანაშაულებრივი ქმედების სახით, ძალიან ძვირი უჯდება ოჯახებს და, ზოგადად, საზოგადოებას. როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ ვაცნობიერებთ, რომ აქ წყდება ამ მოზარდების მომავალიც და ქვეყნის მომავალიც.

მავანი ფიქრობს, რომ მცირერიცხოვანი ელიტის გაზრდა საკმარისია ქვეყნის ასაღორძინებლად და გასაძლიერებლად. თითოეული „გაუხარელი“ მოზარდი, როგორც აუთისებელი რესურსი და არასრულწლოვანების განცდით დაზიანებული პიროვნება, ქვეყნისთვის აუნაზღაურებელი დანაკარგის მომტანი როგორც კულტურული, ისე საზოგადოებრივი და ეკონომიკური თვალსაზრისით. ქვეყნის აღმშენებლობას საღად მოაზროვნე, მოტივირებული და გულანთებული პიროვნებებისგან შემდგარი საზოგადოება სჭირდება. მცირერიცხოვანი ელიტა ვერაფერს გახდება ასეთი საზოგადოების გარეშე. გონებაგანუვითარებელი, გაუნათლებელი თაობა ქმნის ინერტულ მასას, რომელიც წინ ელობება, აფერხებს ქვეყნის აღორძინებისა და განვითარების პროცესს.

იმ მძიმე შედეგებს შორის, რომელსაც დღეს ვიმკით ფსიქოპედაგოგიური თვალსაზრისით კონცეპტუალურად გაუ-

მართავი რეფორმების გამო, უნდა დავასახელოთ ნიჰილისტური განწყობებიც, რომელიც განათლების რეფორმის მიმართ ჩამოყალიბდა სასკოლო საზოგადოებაში. დღეს თითქოს აღარავის სჯერა, რომ შესაძლებელია სასკოლო სისტემის განახლება და სკოლის გარდაქმნა სასკოლო თემისთვის მიმზიდველ სივრცედ, რომელიც თითოეულ მოზარდს მისცემს თვითრეალიზების საშუალებას.

დაბოლოს, კიდევ ერთ საკითხზე გვსურს გავამახვილოთ ყურადღება: პოლიტიკოსებისა და რეფორმატორების ერთი ნაწილი ხსნას მენეჯმენტში ხედავს და ფიქრობს, რომ კარგ „მენეჯერს“ შეუძლია განათლების ხარისხის ამაღლება. იყო პერიოდი, როცა ყველა ვამაყოფდით იდეალურად გამართული საგამოცდო სისტემით, მაგრამ რა მოგვცა 15 წლის თავზე ამ იდეალურად გამართულმა მექანიზმმა?! ცხადია, „მენეჯმენტს“ თავისი განუმეორებელი როლი და ადგილი უჭირავს, მაგრამ ის თუ არ დაეფუძნა კონცეპტუალურად გამართულ საგანმანათლებლო ხედვას, მივიღებთ იმ შედეგებს, რაც გვაქვს – წლების ახალი წლები მილიონობით დახარჯული ლარი და სტაგნაცია. ახლაც არიან რეფორმატორები, რომლებიც სამსჯავროზე გამოდიან მთავარი სიტყვით: მენეჯმენტი.

განათლებაში მთავარი სიტყვა ფსიქოპედაგოგიკას ეკუთვნის. ჯერ ფსიქოპედაგოგიკა, შემდეგ მასზე დაფუძნებული „მენეჯმენტი“. მხოლოდ ფსიქოპედაგოგიკას შეუძლია იმ სასწავლოების მოხდა, რომელსაც მოყვლის საზოგადოება რეფორმისაგან.

ჩვენ კი ისე მოვედით აქამდე, რომ განათლების რეფორმაში ჩართული ადამიანების დიდ უმრავლესობას არ გვაქვს პასუხი გადამწყვეტი მნიშვნელობის ფსიქოპედაგოგიკურ კითხვებზე.

საკვანძო „რატომ?“ კითხვები:

- ➔ რატომ არის მნიშვნელოვანი სასწავლო პროცესის შინაგან მოტივაციაზე დაფუძნება?
➔ რატომ საუბრობს განათლების მეცნიერება ცოდნის „კონსტრუირებაზე“, აგებაზე? რა კავშირია ცოდნის კონსტრუირებასა და მოსწავლეზე ორიენტირებულობას შორის?

საკვანძო „როგორ?“ კითხვები:

- ➔ როგორ უზრუნველყოთ შინაგანი მოტივაციის გამოწვევა და გაზრდა?
➔ როგორ უნდა შევუწყოთ ხელი ცოდნის კონსტრუირებას? როგორ შევუწყოთ ხელი თითოეულ მოსწავლეს საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში?

უნდა გავაცნოთ, რომ ნებისმიერი ინტერვენცია, მიზანი, საქმიანობა, რომელიც ამ კითხვებს არ უნახსნავს, საგანმანათლებლო გარდაქმნის საინფორმაციო იმპულსია.

ამ კითხვებს ვერ უპასუხა საგანმანათლებლო რეფორმამ, რომელსაც მექანიციზმები ხედავს და ედო საფუძვლად. ამ ხედვის ნაყოფია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად შექმნილი ზეწოლის ბერკეტები, რომლებითაც ცდილობდით ადამიანთა გარდაქმნას და გვერდა იმის ილუზია, რომ შესაძლებელია ქცევის ფორმირება პიროვნების შინაგანი მოტივაციის გარეშე. გარეგან მოტივაციასა და განსჯაზე ორიენტირებული პოლიტიკის შედეგად დეგრადირებული, არაჯანსაღი სასკოლო კლიმატი, რომელშიც ყალიბდებოდა ჩვენი მოზარდები. საგანმანათლებლო პროცესების გაძლიერების ნაცვლად, ჩვენს სისტემაში მოზარდებითი რანგის ქცევების გაძლიერებასა და გამრავლებას შევუწყვეთ ხელი – მოხმარებით ქცევით აქტებს კი საგანმანათლებლო ღირებულება არა აქვთ – ისინი განვითარებაზე კი არა, აქტუალური მოთხოვნების (კრედიტის მიღება, ნიშნის მიღება, დირექტორის რისხვის არიდება, გამოცდის ჩაბარება) დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული. როგორც კი ეს აქტუალური მოთხოვნა კმაყოფილდება, ქცევითი აქტებიც ღირებულებას კარგავს. ასეთ ვითარებაში განა რა განვითარებაზე შეიძლება იყოს საუბარი? ფორმალურმა, მოჩვენებითმა, უნაყოფო და „ფუტურო“ საქმიანობებმა მოიცვეს სამასწავლებლოები, დირექტორების კაბინეტები, სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურა.

პარადიგმული რეფორმა

„ახალი სკოლის მოდელი“ პარადიგმული რეფორმა – იგი მოსწავლეს, მასწავლებლებს, დირექტორებს „ობიექტებად“ კი არა, რეფორმის „სუბიექტებად“, მთავარ მოქმედ პირებად განიხილავს – სწორედ მათი შინაგანი მოტივაცია უნდა იქცეს სისტემაში გარდაქმნის და მასშტაბური ცვლილებების წამყვან მამოძრავებელ ძალად. ამიტომ „ახალი სკოლის მოდელი“, განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პიროვნებაზე და მისი შინაგანი ენერჯიების ამაღლებაზე ორიენტირებული, მეცნიერულად გამართულ ფსიქოპედაგოგიკურ ხედვაზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენებით, უნდა შექმნას პირობები იმისთვის, რომ საკლასო ოთახი იქცეს თითოეული მოსწავლისთვის შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალების რეალიზების ასპარეზად, რომ თითოეულმა მოსწავლემ შეძლოს გონებაში ცოდნის სტრუქტურების განვითარება, რათა ასაზრდოოს და გაახაროს საუკეთესო შესაძლებლობები.

მხოლოდ გონებაგანვითარებულ, ლაღი, ჯანსაღი და შინაგანად მოტივირებული პიროვნებებისგან შეიძლება თაობა შეიქმნას უკეთესი მომავლის შექმნას. ამიტომ არის „ახალი სკოლის მოდელი“ გზა უკეთესი მომავლისაკენ.

როგორ გავხადოთ სკოლების დაფინანსება არადისკრიმინაციული



დათო ფარაქი
პედაგოგი, ისტორიკოსი

კანონი ზოგადი განათლების შესახებ გვიუბნება, რომ:

ზოგადი განათლების მიღებას სახელმწიფო ვაუჩერული სისტემით აფინანსებს. ის განმარტავს, რომ ვაუჩერი არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების დასაფინანსებლად. კანონის მესამე თავის 22-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები კიდევ უფრო აზუსტებს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებას ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერი აფინანსებს სახელმწიფო. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ყველა ის მომსახურებითი პაკეტი (სწავლება, უსაფრთხოება, ინვენტარი, სისუფთავე, წესრიგი და ა.შ.), რაც მოსწავლის სწავლებას ემსახურება, დამოკიდებულია სწორედ ამ ვაუჩერზე. და რადგან კანონი ცალსახად განსაზღვრავს ამას, შესაბამისად, ყველა დანარჩენი ნორმატიული აქტი უნდა გამომდინარეობდეს სწორედ მისგან, ამ კანონიდან.

დადგენილი ნორმატიული აქტები კანონს ეწინააღმდეგება

ის გამოცემული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს: ბრძანება (125/6) „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“. მასწავლებლების სახელფასო ანაზღაურების დეტალებს სწორედ ეს ნორმატიული აქტი არეგულირებს, მაგრამ მთელი რიგი რეგულაციები სცდება ზოგადი განათლების კანონის მოთხოვნებს. ბრძანების მიხედვით, განსაზღვრულია მასწავლებლის ე.წ. საბაზო ხელფასი. საბაზო ხელფასი გაიცემა სწორედ მოსწავლის ვაუჩერიდან. ვინც ეს ნიუანსი არ იცის, მარტივად რომ ვთქვათ, ის ასე გამოიყურება: სახელმწიფომ მოსწავლეზე გამოყო, დაეუშვათ, 500 ლარის ოდენობის თანხა. მოსწავლე ამ ფულს მხოლოდ სწავლაში იყენებს და რომელ სკოლაშიც მივა, ეს თანხა იმ სკოლის ანგარიშზე ჯდება. შესაბამისად, რამდენი მოსწავლეც ჰყავს სკოლას, იმდენ ფინანსურ ვაუჩერს იღებს და ამ ერთობლივი ვაუჩერით აფინანსებს პედაგოგის მხოლოდ საბაზო ხელფასს. ზოგადი განათლების კანონიდან გამომდინარე, სწორედ ამას ჰქვია, პირობითად, დაფინანსების ვაუჩერული სისტემა. როგორც ვიცით, ის ამოქმედდა წინა ხელისუფლების დროს, მაგრამ შემდეგ მასში, ზოგადი განათლების კანონის გვერდის ავლით, შევიდა ცვლილებები და გარდა ვაუჩერული დაფინანსებისა, სკოლას სხვა დამატებითი თანხასაც ურიცხავს ხელისუფლება. მაგრამ, სკოლებისთვის დამატებითი დაფინანსება გარკვეულ შერჩევითობაზეა დამოკიდებული, რომელზე საუბარიც ახლა დროს წავგართმევს. გამო-

დის, რომ კანონში წერია – ძალაშია დაფინანსების ვაუჩერული სისტემაო, მაგრამ რეალობაში გვაქვს დაფინანსების „დუალური სისტემა“. აი, ეს ეწინააღმდეგება კანონს.

თითქოს არაფერია გასაკვირი იმაში, თუ სკოლას, ვაუჩერის გარდა, დამატებითი ფინანსები გადაეცემა, მაგრამ, საინტერესოა, რომ ამ დამატებითი დაფინანსების ერთ-ერთი ობიექტიც პედაგოგთა შრომაა. ეს გახლავთ ე.წ. სასტატუსო დანამატი, რომელიც ვაუჩერზე არაა დამოკიდებული, ანუ მასწავლებლის საბაზო ხელფასი ფინანსდება ვაუჩერიდან, სტატუსის დანამატებს კი გასცემს უშუალოდ მთავრობა იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის უფროსი, წამყვანი ან მენტორი მასწავლებელი ჰყავს სკოლას.

ოფიციალურად ეს „დუალიზმი“ ასე შეიძლება განიმარტოს: როგორც ჩანს, სამინისტრომ, კანონის გვერდის ავლით, რეგულაციების დისკრეცია თანხების დაზოგვის მიზნით გადაწყვიტა. თუმცა თანხების დაზოგვას რა მიზანი აქვს, ეს სხვა საუბრის თემაა.

ხარვეზის გასწორების რეკომენდაცია: დაფინანსების ცენტრიდანულობა (პროგრამული, სასტატუსო) მთლიანად უნდა გაუქმდეს, ეს თანხა უნდა დემატოს ვაუჩერს, რითაც კანონით გათვალისწინებული ფინანსური ინსტრუმენტის მოცულობა გაიზრდება და, ხელფასიან-დანამატიანად, მხოლოდ ვაუჩერიდან დაფინანსდება პედაგოგი. თუ როგორ, უფრო კონკრეტულად ქვემოთ „გავშლით“, როდესაც პედაგოგთა ანაზღაურების სიტემაზე გადავალთ.

კანონსწინააღმდეგო ე.წ. ფინანსური სპრელები

მეორე სერიოზული შესაძლებლობა გამოჩნდა მთავრობის 2015 წლის დადგენილებაში, რომლითაც მოხდა ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის დიფერენციაცია. ამ დიფერენციაციით დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული თანასწორობის (მუხლი 11) და განათლების (მუხლი 27) უფლებები; ზოგადი განათლების კანონით გათვალისწინებული ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის (მუხლი 7.) და ზოგადი განათლების მიღების (მუხლი 9-1,2) უფლებები. რას გულისხმობს ეს დიფერენციაცია და რატომ დაირღვა სხელებული უფლებები?

2015 წლის აღნიშნული დადგენილებით, შემოიღეს კოეფიციენტი, რომლითაც სტანდარტული ვაუჩერის ოდენობა სხვადასხვანაირი გახდა ქართული, არაქართული და მაღალმთიანი რეგიონში მდებარე სკოლებისთვის. მაგრამ, ამაში პოზიტიურობაც შეიძლება დავინახოთ, რომ არა უფრო მეტი დიფერენციაცია, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კლასში სწავლობს მოსწავლე. ანუ, პირველიდან მერვე კლასამდე მოსწავლე სხვა ოდენობით ფინანსდება, ხოლო, მერვედან მეორემეტე კლასამდე – გაზრდილი ოდენობით. აქაც შეგვიძლია მოვუძებნოთ გამართლება კანონთან წინააღმდეგობას. კერძოდ ის, რომ დაბალ კლასებში უფრო ცოტა საგნებს სწავლობენ, ვიდრე მაღალ კლასებში (თუმცა, ცოტა საგანი სულაც არ ნიშნავს მომსახურების შემცირებულ პაკეტს). მაგრამ, ყოველგვარ ლოგიკას ცდება ვაუჩერის ოდენობის მერყეობა საჯარო სკოლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მიხედვით: ავიღოთ სტანდარტული მაგალითი არამალაქ-მთიანი, ანუ ბარის ქართულენოვანი საჯარო სკოლების მაგალითზე: თუ ამ სკოლაში, პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით, სწავლობს 170-დან 205-მდე მოსწავლე, თითო მოსწავლის ვაუჩერი შეადგენს 684 ლარს, 206-დან 299 მოსწავლის ჩათვლით – 504 ლარს, 300-დან 530 მოსწავლის ჩათვლით – 501 ლარს, 531-დან 735 მოსწავლის ჩათვლით – 489 ლარს, 736-დან 1269 მოსწავლის ჩათვლით – 480 ლარს, და ბოლოს – მოსწავლეების რაოდენობა თუ აღემატება 1269 მოსწავლეს – 474 ლარს(!). ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. მეცხრედან მეორემეტე კლასის ჩათვლით სხვაგვარი დიფერენციაციაა. ასევე სხვაგვარი ოდენობაა არაქართულენოვან და მაღალმთიან ზონებში. კარგად შესამჩნევია, რომ მრავალკონტინგენ-

ტიან სკოლებში მოსწავლეთა ვაუჩერის ოდენობა, მოსწავლეთა საერთო რაოდენობის ზრდასთან ერთად, იკლებს, რაც ამგვარ სკოლებს აიძულებს, ჰქონდეთ მცირე რაოდენობის პარალელური, მაგრამ მრავალმოსწავლიანი კლასები და რაც, ცხადია, აისახება საბოლოო შედეგებზე, ხოლო მოსწავლეთა უფლებები, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ირღვევა.

თუ მოსწავლე გადაწყვიტს ე.წ. კერძო სკოლაში სწავლას

კიდევ უფრო დისკრიმინაციულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. თუ საჯარო სკოლის შემთხვევაში, დიფერენცირებული დაფინანსების გამო, ყველაზე დაბალი ვაუჩერი შეადგენს 588 ლარს, კერძო სკოლის მოსწავლეს სახელმწიფო 300 ლარს აძლევს. იმის გასაგებად, თუ რატომაც ეს მიდგომა დისკრიმინაციული, კანონმდებლობის ცოდნა სულაც არაა საჭირო, მაგრამ, მაინც გავიხსენოთ საქართველოს კონსტიტუციისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონების ის მუხლები, რომელიც უკვე მოვიხმე: საქართველოს კონსტიტუცია (მუხლები 11, 27) და კანონი ზოგადი განათლების შესახებ (მუხლები 7, 9-1,2). აქაც, როგორც ჩანს, სახელმწიფოს და, სხვათა შორის, ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიად ნოდებულ სუბიექტებსაც ასეთი არგუმენტი აქვთ: რადგან მოსწავლე გადაწყვიტს, რომ კერძო სკოლაში ისწავლოს, რატომ უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ. მაგრამ ეს მიდგომა არათუ ამართლებს, არამედ უფრო აძლიერებს კანონდარღვევას, რადგან მოსწავლეს ართმევს უფლებას – თავად აირჩიოს სასურველი სასწავლებელი სტანდარტული ვაუჩერით და, სურვილის შემთხვევაში, გადაიხადოს დამატებითი მომსახურების პაკეტიც.

რაც მთავარია, დაფინანსების დიფერენცირებული მიდგომა არანაირ კავშირში არაა თანხების დაზოგვასთან. როდესაც პარლამენტი სახელმწიფო ბიუჯეტს იღებს, განათლებისთვის გამოყოფილ „ფინანსურ კოტაში“, შეუძლებელია მან გაითვალისწინოს ამგვარი დიფერენციაცია. შეუძლებელია, საკანონმდებლო ორგანომ განსაზღვროს, საბიუჯეტო წლის განმავლობაში, როგორი იქნება მოსწავლეთა მობილობა, საჯაროდან კერძოში და მცირეკონტინგენტიანიდან მრავალკონტინგენტიან სკოლებში გადასვლის (და პირიქით) დინამიკა. პარლამენტი ამ ფაქტორების გათვალისწინებლად იღებს ერთიან ბიუჯეტს.

ამ კანონსწინააღმდეგო ნორმატივის გასწორება

ეს ძალიან მარტივია – საჯარო თუ კერძო სკოლის ყველა მოსწავლეთა ვაუჩერი უნდა იყოს სტანდარტულად თანაბარი.

როგორ უნდა ანაზღაურდეს სასტატუსო დანამატი

„დუალიზმის მოხსნისა“ და მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსების შემთხვევაში, ე.წ. სასტატუსო დანამატების ძირითად ხელფასზე მიზმა გადავიღებთ, თუ მასწავლებლის მიერ მოპოვებულ თითოეულ კრედიტს მივანიჭებთ შესაბამის კოეფიციენტს. ამ გზით ყველანაირი საათობრივი დატვირთვაც ანაზღაურებადი გახდება და უფრო მეტი – ყოველი კრედიტქულა, მიუხედავად იმისა, რა სტატუსი აქვს მასწავლებელს, ასევე ანაზღაურებადი შეიძლება გავხადოთ. მაგალითად, ამ ეტაპზე, არსებობს განათლების დონების, აკადემიური ხარისხის და სამუშაო სტაჟის კოეფიციენტები (მაგ: დოქტორისა და მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის კოეფიციენტი 1,2), რომლითაც გამოითვლება კონკრეტული პედაგოგის სახელფასო ანაზღაურება. მაგალითისთვის, თუ პედაგოგის თითოეული კრედიტქულისთვის ავიღებთ, საშუალოდ, 0,05 კოეფიციენტს, მაშინ ანაზღაურების არსებული სისტემის მიხედვით, თითოეულ კრედიტქულაზე თვიური ანაზღაურება გამოვა, დაახლოებით, 25 ლარი, 10 კრედიტქულაზე – 250 ლარი და ა.შ.

შედეგი:

ამგვარად აღმოფხვრება დისკრიმინაციული მიდგომა. სტატუსის დანამატი პირდაპირ აისახება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოში კოეფიციენტის სახით. და, ნებისმიერი საათობრივი დატვირთვის შემთხვევაში, ის პროპორციულად გადაანაწილდება, ანუ მასწავლებელი ნებისმიერ დატვირთვებულ კრედიტქულაზე, ნებისმიერი საათობრივი დატვირთვის შემთხვევაში, აიღებს ამ კრედიტქულის ექვივალენტურ ფინანსურ ანაზღაურებას.

მართალია, საქართველოში მასწავლებლის ანაზღაურების ოდენობა მინიმალურადაც უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ ეს რეკომენდაციები ეხება არსებული ანაზღაურების ოდენობას, ვაუჩერის მოცულობის ზრდა კი ავტომატურად გამოიწვევს მასწავლებლის ანაზღაურების ზრდასაც და საჭირო აღარ იქნება დამატებითი ნორმატიული მანიპულაციები და, რაც მთავარია, აღარ დაზარალებიან უკვე სტატუსმოპოვებული პედაგოგები.

ეს რეკომენდაციები შემოგვაქვს არსებული რეალობის გათვალისწინებით. საბოლოოდ ცხადია, მთლიანად შესაცვლელია როგორც ანაზღაურების, ისე პედაგოგთა დიფერენციაციის სისტემა, რაც არაერთხელ დავასაბუთეთ წინანდელ კვლევებში. ჩვენი შემოთავაზებული რეკომენდაციები გულისხმობს ფუნდამენტურ ცვლილებებს სხელებულ ბრძანებაში (№126/6) და მოსწავლის ფინანსური ვაუჩერის ოდენობის ზრდას.



ბარე დაკვირვების გაკვეთილების მოლოდინში...



ნადია დაბრუნდავილი
ხაშურის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, „ახალი სკოლის მოდელის“ კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტი

პანდემიის პერიოდში მასწავლებლები დიდი გამოწვევის წინაშე დგებიან, დისტანციური სწავლების გამოცდილება ძალიან ცოტა მასწავლებელს ჰქონდა და, ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან უნდა დაგვეწყო. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ „ახალი სკოლის მოდელი“ ჩართული სკოლების ის მასწავლებლები, რომლებსაც გარკვეული ცოდნა უკვე მიღებული ჰქონდათ კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართებით.

აღსანიშნავია ჩვენი მასწავლებლების ძალისხმევა იმისათვის, რომ სასწრაფოდ დაუფლებოდნენ სხვადასხვა პლატფორმის, მათ შორის, Teams, Zoom, Feeds, Google Classroom-ის გამოყენებას დისტანციური გაკვეთილების ჩასატარებლად და შედეგად, ყველამ ერთად შეეძლია ის, რომ გასულ სასწავლო წელს ვატარებდით დისტანციურ გაკვეთილებს და სასწავლო წელი აკადემიურ წლად არ გამოცხადდა. აღსანიშნავია, ამ პერიოდში, კომპიუტერისა და ინტერნეტის არქონის გამო, სწავლების მიღმა დარჩენილი მასწავლებლების არცთუ მცირე რიცხვი, რომელთათვისაც დღესაც იგივე პრობლემა დგას და რომელთა მდგომარეობა არ უნდა დავივიწყოთ. ჩვენი მხრიდან კი, ალბათ დამატებითი სამუშაოების ჩატარება მოგვიწევს, რათა გამოტოვებული გაკვეთილების ნაწილობრივ აღდგენა მაინც მოვახდინოთ.

ისევე, როგორც ნებისმიერი გასაჭირი რალაც ახალს გვასწავლის და გამოცდილებას გვძენს, კოვიდ პანდემიამაც თავისი გავლენა მოახდინა ჩვენზე, ყველა ვცდილობდით, მოვრგებოდით რეალურ სიტუაციას და მაინც გვეკეთებინა ჩვენი საქმე.

სოციალური ქსელები ისედაც ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო და პანდემიის პერიოდში, ადამიანებს შორის, სოციალური ქსელით – Facebook – ურთიერთობამ განსაკუთრებულ მასშტაბებს მიაღწია, ფაქტობრივად, ვირტუალურ გარემოში გადავსახლდით. ექსტრემალურ სიტუაციაში, სამწუხაროდ, ხდებოდა Facebook-ის გამოყენება იმ მასწავლებლებთან კომუნიკაციისათვის, რომელთათვისაც სოციალურ ქსელს ასაკობრივი შეზღუდვები აქვს დაწესებული. Facebook-ზე ადამიანი მარტივად შეიძლება ბუღინგის მსხვერპლი გახდეს, ამიტომაც მცირეწლოვან მასწავლებლებთან ამ ქსელით სარგებლობა არ იყო კარგი გადაწყვეტილება, თუმცა, საწყის ეტაპზე, ზოგიერთ მასწავლებელს არჩევანი არ ჰქონდა და სწორედ სოციალური ქსელი იყო მასწავლებლებთან მათი საკომუნიკაციო ერთადერთი საშუალება.

ამ რთულ სიტუაციაში მიხედვით, რომ მასწავლებლებს დაეხმარებოდა დისტანციური სწავლებისათვის Teams პლატფორმის ათვისებასა და, ზოგადად, სწავლებისათვის კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებაში, ამიტომ გადავწყვიტე, შემექმნა Facebook ჯგუფი „ონლაინ სწავლება და ტექნოლოგიები“ – <https://bit.ly/34HtM3Y>, რომელიც დისტანციური სწავლებით დაინტერესებული მასწავლებლები გაერთიანდნენ.

ამ ჯგუფში მასწავლებლები, ყოველდღიურად, ეცნობიან ახალ-ახალ ვიდეონსტრუქციებს და იღებენ მყისიერ პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც მუშაობის პროცესში უჩნდებათ. ჯერ მხოლოდ მეოთხე თვეა, რაც ეს ჯგუფი არსებობს და მასში უკვე 8000-ზე მეტი მასწავლებელია გაერთიანებული, ჯგუფის წევრთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება და სამუშაოც იზრდება, თუმცა ჯერჯერობით ყველაფერს ვუმკლავდებით.

Facebook ჯგუფის შექმნის პარალელურად, აქტიურად დავიწყე ტექნოლოგიების გამოყენებაზე ვიდეონსტრუქციების ჩანერა და მათი ატივობა Youtube არხზე – <http://bit.ly/2P9Cfa9>.

ვიდეონსტრუქციებს, ძირითადად, ვწერ კომპიუტერული ტექნოლოგიების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ, ასევე, მასწავლებლების მიერ დასმული კითხვების საპასუხო და ვაზიარებ ზემოთ აღნიშნულ Facebook ჯგუფში. მიხარია, რომ ტექნოლოგიების გამოყენებასთან და მათემატიკის სწავლებასთან დაკავშირებული ჩემი Youtube არხი საკმაოდ პოპულარული გახდა და, დღეისათვის, 3000-ზე მეტი გამომწერი ჰყავს, მათ შორის არიან სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის და სხვადასხვა სტატუსის მქონე ადამიანები, როგორც მასწავლებლები, ასევე სტუდენტები, მშობლები და მასწავლებლები. აღნიშნული ვიდეოები რომ ყველა მათ-

განის მოთხოვნებს მიესადაგება, ამაში მათი კომენტარები და შეტყობინებები მარწმუნებს და ვცდილობ, სწორედ მათ საჭიროებაზე მორგებული ინსტრუმენტების გამოყენების ვიდეონსტრუქციები ჩაგწერო და გაუზიარო.

სამომავლად, მინდა, ჯგუფის მასწავლებლები უფრო გააქტიურდნენ და თავადაც შექმნან მსგავსი არხები Youtube-ზე, სადაც გამოაქვეყნებენ და კოლეგებს გაუზიარებენ შესწავლილი ინსტრუმენტების გამოყენების საკუთარ გამოცდილებას და სწავლების მეთოდების შესახებ ვიდეოებს.

ოქტომბრიდან განახლდა „ახალი სკოლის მოდელი“ ჩართული და არაჩართული სკოლების მასწავლებლებთან შეხვედრები, ახლა უკვე რეგიონულ დონეზე, როგორც დისტანციურ, ასევე პირისპირ შეხვედრების ფორმატში და მასწავლებლებისთვის ძალიან კომფორტულია შეხვედრის შემდეგ მზა ვიდეონსტრუქციის მიწოდება.

მასწავლებლები უამრავ კითხვას სვამენ გარე დაკვირვების გაკვეთილებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ახლა, როცა ზოგიერთ მათგანს დისტანციურ რეჟიმში მოუწევთ აღნიშნული გაკვეთილების ჩატარება.

მე, როგორც მათემატიკის საგნის მასწავლებელი და კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტი, გავაცნობ მათ ჩემს პირად გამოცდილებას და მივცემ გარკვეულ რჩევებს როგორც ჩვეულებრივი, ასევე გარე დაკვირვების გაკვეთილის დისტანციურ რეჟიმში ჩასატარებლად.

როგორც ცნობილია, გარე დაკვირვების გაკვეთილები ჩატარდება იმ ხანგრძლივობის, რა ხანგრძლივობის გაკვეთილებიც ტარდება იმ კონკრეტულ სკოლაში, რომელშიც ეს გაკვეთილი ტარდება.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი რჩევებს ითხოვს ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, პანდემიის პირობებში, საკლასო ოთახში გაკვეთილის ჩატარებისას, კლასის ორგანიზების ფორმად ჯგუფური მუშაობის არჩევა არ იქნება კარგი გადაწყვეტილება, რადგან ცოტა ძნელად წარმოსადგენია ჯგუფური მუშაობა მოსწავლეთა შორის დისტანციის დარღვევის გარეშე.

✓ თუ online შეხვედრისას ჯგუფური მუშაობის ორგანიზებას გადაწყვეტთ, წინასწარ შედაგინეთ სამუშაო ჯგუფები, რათა ისედაც მცირე საგაკვეთილო დრო არ დახარჯოთ კლასის შიდა ჯგუფების შექმნასა და ორგანიზებაზე – <https://bit.ly/2GTen8Q>

✓ გაკვეთილზე მოსწავლევებს შეუქმენით პოზიტიური და მშვიდი გარემო, თუ რამე ისე არ გამოვა, როგორც დაგეგმილი გქონდათ ან თუ მოსწავლე, თუნდაც ძალიან ელემენტარულ კითხვაზე, ვერ გაცემთ პასუხს, მკაცრად ნუ განსჯით, რადგან მოსწავლევები მასწავლებელზე არანაკლებ განიცდიან უცხო ადამიანის დასწრებას გაკვეთილზე.

✓ გაკვეთილის მიმდინარეობისას, შესაძლოა, შექმნას პრობლემები ინტერნეტის სიჩქარესთან დაკავშირებით. შეცადეთ წინასწარ მოგაგაროთ ეს საკითხი, მინიმუმ, დაეუფლოთ სატელეფონო ინტერნეტის გამოყენებას კომპიუტერში. შეიძინეთ სატელეფონო ინტერნეტის პაკეტი და, საჭიროების შემთხვევაში, გაკვეთილი სატელეფონო ინტერნეტის გამოყენებით გააგრძელოთ.

✓ მნიშვნელოვანი საკითხია გაკვეთილზე მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება და მათი გაზიარება მოსწავლევებისათვის.

✓ ჩვეულებრივ საკლასო გარემოში, მოერიდეთ ისეთი რესურსების გამოყენებას, რომელთან შეხებაც, შეიძლება, რამდენიმე მოსწავლეს მოუწიოს, ასევე, ნუ გაცვლევინებთ მოსწავლევებს ერთმანეთს შორის რესურსებს, ბარათებს, მარკერებსა და ა.შ.

✓ ონლაინ გაკვეთილის ჩატარებისას, წინასწარ მოამზადეთ თქვენი გაკვეთილისთვის შესაფერისი და საჭირო რესურსები, პრეზენტაცია იქნება, ვიდეო-აუდიოფაილები თუ რომელიმე საიტის გამოყენება.

✓ ხმოვანი ფაილების გაზიარებისას, გათვალისწინეთ სისტემური ხმის ჩართვა, სხვა შემთხვევაში, ფაილის ხმას მსმენელები ვერ მოისმენენ და შესაბამისად ვერც გამოიყენებენ – <https://bit.ly/3iXwkQB>

✓ Teams პლატფორმაზე რესურსების გაზიარება შეგიძლიათ როგორც ცალკეული ფაილების, ასევე Desktop-ისა და Windows-ის გაზიარების საშუალებით. გათვალისწინეთ, Desktop-ის გაზიარებისას, შეხვედრის მონაწილეები დაინახვენ ყველაფერს, რასაც პრეზენტატორი თავისი კომპიუტერის ეკრანზე გააკეთებს, ხოლო Windows-ფანჯრის გაზიარების შემთხვევაში, მონაწილეები დაინახვენ მხოლოდ იმ ფანჯარას, რომელსაც გაუზიარებთ, მაგ., თუ აზიარებთ Teams-ის ფანჯარას Windows-ის რეჟიმში, მაშინ მოსწავლევები ხედავენ მხოლოდ იმას, რაც ხდება Teams-ის ფანჯარაში – <https://bit.ly/2SRHT1i>

✓ გათვალისწინეთ, Teams-ის განახლებულ ვერსიაში, ონლაინ შეხვედრისას, ორი ფანჯარა იხსნება, ერთში უშუალოდ შეხვედრა მიმდინარეობს, ხოლო მეორეში კი ჩანს ჯგუფის ფანჯარა, კომენტარები, რესურსები და ა.შ. შეგიძლიათ, ეს სიახლე თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ, ერთი ფანჯრის არსებობის შემთხვევაში, გაკვეთილი-

დან გასვლის და გათიშვის მაღალი რისკი იყო.

✓ Teams-ში დისტანციური გაკვეთილის ჩატარებისას, გამოიყენეთ ხელის აწევის ფუნქცია, ეს საშუალებას მოგცემთ, დროის დაკარგვის გარეშე, წარმართოთ გაკვეთილი.

✓ თუ გაკვეთილის მიმდინარეობისას, მოგეჩვენებათ, რომ გაკვეთილი ზედმეტად ხმაურთანაა მიმდინარეობს, გამოიყენეთ მოსწავლევებისათვის მიკროფონის მართვის შეზღუდვის ფუნქცია და პრეზენტატორის უფლება მიეცით მას, ვინც ხელს იწვევს და სურს პასუხის გაცემა – <https://bit.ly/33RYzvQ>

✓ არ დაგავიწყდეთ გაკვეთილის ვიდეოჩანაწერის გაკეთება, გაკვეთილის რეფლექსიის დაწერისას მნიშვნელოვან დახმარებას გაგიწევთ თქვენივე გაკვეთილის ხელმეორედ ნახვა, განალიზება და ობიექტურად შეფასება – <https://bit.ly/2SSWCZQ>

✓ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, წინასწარ მოიფიქრეთ და შეარჩიეთ ისეთი აქტივობები, რომლებშიც მოსწავლევები მარტივად შეძლებენ ჩართვას, მონაწილეობას და კოლაბორაციულ რეჟიმში მუშაობას, გათვალისწინეთ ის, რომ ზოგიერთ ვირტუალურ დაფაზე მუშაობა საკმაოდ რთულია მაუსის ან ტელეფონის გამოყენებით, ამიტომ, რესურსების სწორად შერჩევაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თქვენი მოსწავლევების ეფექტური ჩართულობა.

✓ კარგი იქნება თუ გამოიყენებთ მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ფორმას.

გავიხსენოთ, რომ „განმსახვრელ და განმავითარებელ შეფასებას ერთმანეთისგან განსხვავებული ფუნქცია აქვთ. პირველი მათგანი (განმსახვრელი შეფასება) ემსახურება მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენას საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან/ყველასათვის საერთო კრიტერიუმთან მიმართებით, მეორე (განმავითარებელი შეფასება) კი აღწერს მოსწავლის მიერ განვლილ საგანმანათლებლო გზას; ახასიათებს მის ძლიერ და სუსტ მხარეებს; წარმოაჩენს თუ რისი გავება, გააზრება გაუჭირდა და გაუადვილდა მოსწავლეს მისი ფუნქციონირება და ნონსენსის ხელშეწყობის მიზნით.“ – გაზამკლევი (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით).

✓ გაკვეთილზე ნუ გამოთქვამთ ნუხილს იმასთან დაკავშირებით, რომ ვიღაცას უკეთესი ხარისხის ინტერნეტი აქვს და ვიღაცას არა, ნუ უსაყვედურებთ მოსწავლევებს, რომ ტელეფონით არიან შემოსულები და არა კომპიუტერებიდან, ამას ისინი ისედაც განიცდიან და ამის აღნიშვნით პრობლემა მაინც არ მოგვარდება.

✓ აქვე შემოგთავაზებთ ჩემ მიერ შექმნილი ვიდეონსტრუქციების იმ კრებულებს, რომლებიც გამოგადგებათ თქვენი გაკვეთილებისთვის რესურსების შექმნასა და Teams პლატფორმის გამოყენებით დისტანციური გაკვეთილების წარმართვაში:

✓ Ms Teams-ში მუშაობის შესახებ ვიდეონსტრუქციები: <https://bit.ly/3IAoBtI>

✓ ელექტრონული ჟურნალის გამოყენების ვიდეონსტრუქციები: <https://bit.ly/3dij7Ax>

✓ PowerPoint პრეზენტაციის გამოყენების შესახებ ვიდეონსტრუქციები: <https://bit.ly/3dub3gt>

✓ კომპლექსური დავალებები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით: <https://bit.ly/30U53bJ>

✓ პროგრამა GeoGebra-ს გამოყენების ვიდეონსტრუქციები: <https://bit.ly/3djQZHO>

✓ ტექნოლოგიების გამოყენების ვიდეონსტრუქციები: <https://bit.ly/34LQBUB>

✓ ელექტრონული ტესტები მათემატიკაში: <https://bit.ly/3f3tVH>
დაბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ნებისმიერი გაკვეთილის მიმდინარეობისას, მნიშვნელოვანია, რომ გარემო იყოს მშვიდი და პოზიტიური.

ტექნიკური პრობლემები და რისკები წინასწარ გათვალისწინეთ, გქონდეთ მომზადებული გეგმა ბ)-ც კი, თუმცა, გათვალისწინეთ ისიც, რომ ყველას მოსდის შეცდომა ან ჩნდება გაუთვალისწინებელი ტექნიკური ხარვეზი, ამიტომ პანიკაში ნუ ჩავარდებით და სცადეთ, ისე სიმშვიდით გაუმკლავდეთ ყველა გამოწვევა.

ნუ შეგვიმინდებათ, გადაუხვიოთ გაკვეთილის გეგმას, საჭიროებიდან გამომდინარე, გადაადგილოთ ან შეცვალოთ აქტივობები, შემდეგ კი, გაკვეთილის რეფლექსიაში კარგად ასახოთ თქვენი გადაწყვეტილებების მიზეზები.

გამეხარდება, თუ ჩემი გამოცდილება და რჩევები გამოადგებათ ჩვენს ძვირფას მასწავლებლებს.

მინდა ვუსურვო მათ ჯანმრთელობა და პროფესიული წარმატებები!

ვისურვებდი, რაც შეიძლება მალე გავგესტუმრებინოს კოვიდ-19 და დავბრუნებულიყავით ცხოვრების ჩვეულებრივ რეჟიმში, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების გაღრმავებული ცოდნით და იმ დიდი გამოცდილებით, რომელიც კოვიდ-19-ის გაკვეთილებისგან მივიღეთ.

ბარა დაკვირვება

3000-ზე მეტმა მასწავლებელმა გამოთქვა ბარა დაკვირვების სურვილი რა დეტალური უნდა გაითვალისწინონ მასწავლებლებმა ბარა დაკვირვების დოკუმენტაციის ატვირთვისას

ლალი ჯალაძე

5 ოქტომბერს დასრულდა გარე დაკვირვების რუბრიკაზე რეგისტრაცია და, არსებული მონაცემებით, 3000-ზე მეტმა მასწავლებელმა გამოთქვა გარე დაკვირვების სურვილი. გაკვეთილის ჩატარების პერიოდში უკვე აისახა მასწავლებლებთან. როგორც ცნობილია, წელს პანდემიით შექმნილი მდგომარეობის გამო, მასწავლებელთა სახლში, გაზაფხულზე, გარე დაკვირვების პროცესი გადავადდა და მოამზადა ონლაინ დაკვირვების რუბრიკა. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს დააკვირდებიან დისტანციურად და პირისპირ. პროცესი მთელი სემესტრის განმავლობაში გაგრძელდება და რუბრიკა იმის მიხედვით განხორციელდება, რა სიტუაცია იქნება კონკრეტულ სკოლაში.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გარე დაკვირვებისა და დისტანციური დაკვირვების შეფასების რუბრიკები გამოაქვეყნა. დოკუმენტების თანახმად, გარე დაკვირვების გაკვეთილის ჩასატარებლად, მასწავლებელმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია eschool-ში და შესაბამისი თანამდევრობით წარმოადგინოს გარე დაკვირვების წესის მიხედვით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. მასწავლებლის შეფასება ხორციელდება: ა) გაკვეთილის შეფასების სქემით, მასწავლებლის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასებისას და ბ) მასწავლებლის რეფლექსიის შეფასების საფუძველზე.

✓ განისაზღვრა მაქსიმალური და დადებითი შეფასების მონაკვეთები და საჭირო ქულა. გაკვეთილის შეფასების მაქსიმალური ქულაა 36. გაკვეთილი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 75%-ს, ანუ მინიმუმ 27 ქულას.

✓ სპორტის გაკვეთილის შეფასების მაქსიმალური ქულაა 32. გაკვეთილი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ ის დააგროვებს ქულათა ჯამური რაოდენობის 75%-ს, ანუ მინიმუმ 24 ქულას.

✓ დანებობით საფეხურზე უმაღლეს შეფასებას იმსახურებს იმ ელემენტების გამოვლენა, რომელთა მიხედვითაც ჩანს, რომ კლასში შექმნილია განწყობა, მოსწავლეებიც ჩაერთონ შინაარსის განმარტებაში, მიზნის დაზუსტებაში. იმ შემთხვევაში, თუ კლასში არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე, მაშინ მათთვის შემუშავებული ინსტრუქციებიც იგულისხმება.

დისტანციური ბარა დაკვირვების რუბრიკის მიხედვით რამდენიმე მიმართულება გამოიკვეთა:

⇒ ვირტუალური სასწავლო პლატფორმის გამოყენება – ვირტუალური სასწავლო პლატფორმის შესაბამისი უნარ-ჩვევების დემონსტრირება; კიბერჰიგიენის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ონლაინეთიკისა და მედიანიგნიერების ძირითადი პრინციპების დაცვა.

⇒ პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება – ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობი ვირტუალური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა; მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირება; განსხვავებული აზრის მიღება და პატივისცემა; კულტურული, რელიგიური, ეროვნული და სხვა მრავალფეროვნების აღიარება და

მასთან დაკავშირებული აქტივობების წახალისება; ვირტუალური სასწავლო პროცესის მართვა, მოსწავლეთა მხრიდან ვირტუალურ სივრცეში ქცევის წესების ცოდნა და მათი დაცვა; ვირტუალური სასწავლო გარემოსთვის შესაბამისი ქცევის მართვის სტრატეგიების გამოყენება; ონლაინპლატფორმის სპეციფიკის გათვალისწინებით მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა საგაკვეთილო პროცესში; ონლაინგაკვეთილისათვის განკუთვნილი დროის რაციონალურად მართვა.

⇒ ონლაინფორმაციის რეგულაციური სწავლება და შეფასება – სწავლება სამიზნე ცნებების/ცნებების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების შესაბამისი აქტივობებისა და სტრატეგიების გამოყენება; მოსწავლეთა წინაშე ცოდნისა და არსებული გამოცდილების გათვალისწინება; დიფერენცირებული სწავლების ძირითადი პრინციპების დაცვა; მაღალი სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობი მიდგომების გამოყენება; მოსწავლეებში მეტაკოგნიტიური უნარების განვითარება და სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლების ხელშეწყობა; მოსწავლეთა ონლაინშეფასების ობიექტური, სანდო, გამჭვირვალე და ვალიდური სისტემის უზრუნველყოფა; თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების სტიმულირებისა და მათში სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობი შეფასების გამოყენება.

⇒ სასწავლო რესურსების გამოყენება – დისტანციური სწავლებისთვის რეგულაციური და საგაკვეთილო მიზნის შესაბამისი სასწავლო რესურსების გამოყენება; მოსწავლეთა ასაკისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი რესურსების გამოყენება.

⇒ ონლაინკომუნიკაცია – ეფექტიანი ვერბალური, არავერბალური და წერილობითი კომუნიკაციის გამოყენება; უკუკავშირის მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება; კრიტიკული უნარების კორექტულად და ეფექტიანად მინოდება; ეფექტიანი ინსტრუქციების მინოდება;

⇒ რეფლექსია – ჩატარებულ გაკვეთილზე გაკვეთილისთვის დაგეგმილი აქტივობების, მეთოდების/სტრატეგიების მიზნობრიობის დასაბუთება მისალწვე შედეგებთან მიმართებით; ჩატარებულ გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების და გამოყენებული მეთოდების/სტრატეგიების აქანალიზება და ობიექტურად შეფასება გაკვეთილის გეგმასთან და განზრახულ შედეგებთან მიმართებით; ჩატარებული გაკვეთილის კრიტიკულად შეფასება – მისი ძლიერი და ნაკლოვანი მხარეების/ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი გამოსწორების გზების პოვნა და სხვ.

შენიშვნა:

- სწავლების ფორმის გაუთვალისწინებელი ცვლილების შემთხვევაში, მასწავლებლის მომართვის საფუძველზე, შეიცვლება გარე დაკვირვების პერიოდი გონივრული ვადით, რათა შეძლოს სწავლების ახალ ფორმატთან ადაპტირება;
- დისტანციური გაკვეთილის მიმდინარეობისას წარმოქმნილი გაუთვალისწინებელი ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში (მაგ. ელექტროენერჯის გათიშვა, ინტერნეტის შეწყვეტა და სხვ.), ხარვეზის გამოსწორებისათვის დახარჯული დრო მასწავლებელს ჩაეთვლება საპატიოდ და ხარვეზის გამოსწორებისთანავე მიეცემა გაკვეთილის გაგრძელების საშუალება. საჭიროების შემთხვევაში, მასწავლელთან შეთანხმებით, შესაძლებელი იქნება გაკვეთილის გადადება.
- დისტანციურ გაკვეთილს შესაძლებელია, არ ესწრებოდეს

კონკრეტულ კლასში სიით განსაზღვრულ მოსწავლეთა სრული რაოდენობა.

• მასწავლებელმა, დისტანციური გაკვეთილის ჩატარებისთვის, ელექტრონული პლატფორმა მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფის და საგანმანათლებლო მიზნების გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს.

გარე და დისტანციური დაკვირვების შეფასების რუბრიკები იხილეთ ბმულებზე:

- http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/804678.pdf
- http://tpdc.gov.ge/ptk_files/_ckuploaded/347454.pdf

რა დეტალური უნდა გაითვალისწინონ მასწავლებლებმა ბარა დაკვირვების დოკუმენტაციის ატვირთვისას

✓ მასწავლებლებმა გაკვეთილის გეგმა უნდა ატვირთონ ხუთი სამუშაო დღით ადრე, მათ შორის გეგმების ატვირთვა შესაძლებელია შაბათ-კვირასაც.

✓ ბუნებრივია, პედაგოგებს გაკვეთილის გეგმის ატვირთვა ახლა იმის მიხედვით მოუწევთ, თუ რა ტიპის გაკვეთილებს ატარებენ მოცემულ პერიოდში – ისინი, ვისაც დისტანციური სწავლება უნევთ, დისტანციური გაკვეთილის გეგმას ატვირთავენ, ხოლო ვინც საკლასო ოთახში ატარებენ გაკვეთილს – შესაბამისი გეგმის.

✓ მთავარ დეტალებს შორის გასათვალისწინებელია ისიც, რომ გაკვეთილი გაინეროს იმ დროის მიხედვით, რა ხანგრძლივობის გაკვეთილებსაც ატარებს მასწავლებელი სკოლაში.

✓ რაც შეეხება ფორმატს, გეგმები უნდა იყოს pdf ფორმატში ატვირთული – დასკანერებული თუ პირდაპირ pdf-ში გადაყვანილი, სავალდებულო არ არის ხელმოწერა. მთავარია, იყოს მიმდევრობითი ჩასატარებელი 5 გაკვეთილის გეგმა, შესაძლებელია ხუთივე გეგმის როგორც ერთ ფაილად, ისე ცალ-ცალკე ატვირთვა.

✓ გაკვეთილის გეგმები იწერება გაკვეთილის გეგმის ფორმის მიხედვით – აუცილებელია მოთხოვნილი კრიტერიუმების შევსება.

✓ მნიშვნელობა არ აქვს შრიფტის ზომას და გვერდების რაოდენობას. მთავარია, მოცულობის გათვალისწინება – არ უნდა იყოს 25 მეგაბაიტზე მეტი, რომ სისტემამ მიიმარგოს ფაილი. ასევე, სავალდებულო არ არის დანართების მიმაგრება, მთავარია, აღწერილი იყოს ის რესურსები, რომლებსაც მასწავლებელი გამოიყენებს. რაც შეეხება თარიღს, შეიძლება მითითებული იყოს გაკვეთილის ჩატარების ან ატვირთვის თარიღი.

✓ აუცილებელია თუ არა, გაკვეთილის ჩატარებისას, სახელმძღვანელოს მიყოლა ან შეიძლება თუ არა სხვა სახელმძღვანელოს გამოყენება და ა.შ. – ამ კითხვებზე პასუხი ეროვნულ სასწავლო გეგმაში წერია, გარე დაკვირვების წესი განსხვავებულს არაფერს ითხოვს.

✓ მასწავლებლებს, რომლებიც გარე დაკვირვების გაკვეთილებს პირისპირ ჩაატარებენ, აუცილებლად მოეთხოვებათ კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (Covid-19) დაკავშირებული, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის განსაზღვრული ზოგადი რეკომენდაციების დაცვა.



გარემოსდაცვითი განათლების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა

გარემოს დაცვისა და აგრარული განათლების შესახებ პროგრამის პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა გამართა, გარემოსდაცვითი განათლების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰარცელი, საქართველოში გაე-

როს განვითარების მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ან-ნა ჩერნიშოვა და სხვა მონაწილე სტუმრები.

პროგრამის პრეზენტაციასთან ერთად, შეხვედრაზე, მის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოს „გარემოს დაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ წარდგენა მოხდა.

თამარ ქიტიაშვილი დამსწრე საზოგადოებას სკოლებში გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე ესაუბრა: „მოხარული ვარ, რომ მკვეს შესაძლებლობა, გარემოსდაცვითი განათლების საერთაშორისო დღე აღვნიშნო იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულების განვითარებასა და ხელშეწყობაზე ზრუნავენ. მნიშვნელოვანია, სკოლის მოსწავლეებმა მიიღონ განათლება და გამოიმუშაონ უნარ-ჩვევები როგორც გარემოს დაცვის, ასევე აგრარული დარგის მიმართულებით. ვფიქრობ, დაწყებითი საფეხურზე, ბავშვების ცნობიერება ჩამოყალიბების პროცესშია, ამ საკითხების საგნობრივ ჭრილში ინტეგრირება და მოსწავლეებში, მრავალფეროვანი აქტივობებით, სწორი შეხედულებებისა და ქცევების ფორმირება კიდევ ერთი ნიშნავალი ნაბიჯია, რაც გვაახლოებს ჩვენს საერთო მიზანთან – გვყავდეს განათლებული, სწორი ღირებულებების მქონე ახალგაზრდობა, რომლისთვისაც თანაბრად მნიშვნელოვანი იქნება გარემოს დაცვა, სოციალური კეთილდღეობა თუ ეკონომიკური განვითარება. დარწმუნებული ვარ, მომავალ თაობას გაეცლებით მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა ექნება, რასაც სკოლებში სწორედ ასე-

თი პროგრამების დანერგვა ჩაუყრის საფუძველს“.

სახელმძღვანელო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის თანამშრომლობით შემუშავდა. დამხმარე სახელმძღვანელო დაწყებითი საფეხურის პედაგოგებისთვის გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობასა და ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებას ითვალისწინებს.

სახელმძღვანელო, გარემოს დაცვისა და აგრარული მიმართულებით, შემდეგ თემებს აერთიანებს:

- მდგრადი განვითარების კონცეფცია; ბიომრავალფეროვნების დაცვა;
 - წყლის რესურსების დაცვა და მდგრადი მართვა; ნარჩენების მართვა;
 - კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების შემცირება;
 - ატმოსფერული ჰაერის ხარისხი;
 - მიწის მართვა და გაუფertობასთან ბრძოლა;
 - სოფლის მეურნეობა – სურსათის უვნებლობა და ხარისხი.
- სახელმძღვანელოს წარდგენის შემდეგ იწყება მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც, მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებისა და სკოლის წარმომადგენლების გადამზადებას გულისხმობს.

ინტერვიუ ანა-ინფორმაციონისტთან

კონკრეტული ხაზი უნდა გვქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული რეგულაციებით, სადაც აღამიანური სისუსტეების გათვალისწინებულია და ეკონომიკას

გვესაუბრება ანა ბუჭაშვილი



– ქალბატონო ანა, საინტერესოა თქვენი აზრი სასწავლო დაწესებულებების გახსნა/დაკეტვასთან დაკავშირებით, თუმცა, ვიდრე ამ თემაზე გადავალთ, მინდა გკითხოთ, როგორ გააანალიზებთ პანდემიის სიტუაციას საქართველოში?

– მოკლედ რომ ვთქვა, ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ძალიან სერიოზულია, მეტიც, მძიმეა, აღმავლობის ტემპით მიდის. ყოველდღიური შემთხვევებით, ფაქტობრივად, უკვე ბევრ ქვეყანას გადასწარით. ცოტა ხნის წინ საუკეთესო სტატისტიკა გვქონდა, თუმცა, ამჟამად, სამწუხაროდ, ამას ვეღარ დავიკვივებით. ახლა მოლოდინის რეჟიმში ვართ, რომ რამდენიმე ხანში დადგება სტაბილიზაცია და ინფიცირებული შემთხვევების შემცირება, მაგრამ როდის, ეს არ ვიცი. ჯერჯერობით წინ, მინიმუმ, ზრდა გვაქვს.

– კოვიდ 19-ს ბავშვების ქირაში რომ შევხედოთ, რა მდგომარეობაა, რას ამბობს კვლევები და გამოცდილება, მართალია თუ არა მოსაზრება, რომ ბავშვები ნაკლები რისკის ჯგუფს წარმოადგენენ?

– ეს მოსაზრება არ არის სწორი და ბავშვებიც ისეთივე რისკის ქვეშ იმყოფებიან, ინფიცირების თვალსაზრისით, როგორც ზრდასრულები. ისინიც, რა თქმა უნდა, ისევე ინფიცირდებიან, როგორც დიდები. ხალხმა არასწორად გაიგო, თითქოს ბავშვები დაბალ რისკს მიეკუთვნებიან. სინამდვილეში ეს ასე არ არის, უბრალოდ, ბავშვებთან არ ხდება გართულებები და ლეტალური გამოსავალი, უფრო სწორედ, ეს უკიდურესად იშვიათი ხასიათისაა. თორემ, ბავშვებიც ისევე შეიძლება დაინფიცირდნენ, როგორც ჩვენ და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, გართულებების რისკია მათში დაბალი და არ აღემატება გრძობისას.

– ამ სიტუაციაში სკოლების გამოკეტვა როგორი გადაწყვეტილებაა? თქვენ რამდენიმე დღის წინ წერდით, რომ „გარკვეული აფეთქებები სკოლების გახსნასთან დაკავშირებით შეიძლება გვექნდეს კიდევაც, მაგრამ დასაფიქრებელია რამდენიმე მომენტის გათვალისწინება“ – რა არის ის მომენტები, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ?

– ფაქტი ის არის, რომ, ფაქტობრივად, სკოლები არ გაიხსნა და ბავშვები ისევე სახლში არიან. აქ მშობლების მოთხოვნა და განწყობაც აშკარად ჩანს, ისინი ძალიან შიშობენ და არ უნდათ შვილების გაშვება სკოლაში. ფაქტია, რომ გადაწყვეტილებაც უკვე მიღებულია – ბავშვები რჩებიან სახლში. თუმცა, სკოლების გახსნასთან დაკავშირებით, ზოგადად, იმას ვამბობდები, რომ ასე ცალკე/მარტო ბავშვების სახლში გამოკეტვა დიდად არაფრის მომტანია და არც რაიმეს ცვლის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ყველა დანარჩენი ქუჩაშია. არ ვიცი რატომ, მაგრამ ყველაზე მარტივად მაინც სკოლებს და უნივერსიტეტებს კეტავენ.

– თუმცა, ეს რეგულაცია არ შეეხო ყველა მოსწავლეს და სამინისტრომ პირისპირ სწავლება გამოაცხადა პირველიდან მეექვსე კლასების ჩათვლით მოსწავლეებისთვის, შემდგომი კლასები კი დისტანციურ სწავლებაზე დატოვა – თქვენი აზრით, ეს გადაწყვეტილება რას ეფუძნება? უფროსკლასელები უფრო მეტი საფრთხის ქვეშ არიან?

– ეს გათვლა იმაზე გაკეთდა, რომ უფროსკლასელები დამოუკიდებლად უფრო მეტად ახერხებენ ონლაინ სწავლებაში ჩართვას, დაწყებითი კლასების მოსწავლეები კი ნაკლებად. ვფიქრობ, ალბათ, მხოლოდ ამ მოსაზრების გამო მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება.

– მთავრობამ დაანესა წერტილოვანი შეზღუდვები, ანუ სკოლებში, სადაც კოვიდის შემთხვევები ფიქსირდება, ეპიდემიოლოგებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას, დაიკეტოს სკოლა ან კლასი თუ გაგრძელდება სწავლება?

– ალბათ, სწორია, თუ რომელიმე კლასში გავრცელდა ინფექცია, უმჯობესია, შეზღუდვები დაანესონ, რადგან მასიურად არ მოედოს ყველას. მოკლედ, უნდა გადავიდეთ ინდივიდუალური მიდგომების რეჟიმზე. ასე საყოველთაო და ყველასთვის ერთი ხელის მოსმით დაწესებულმა შეზღუდვამ – სახლში ჩაკეტვამ – როგორც ვნახეთ, უმძიმესი შედეგები მოიტანა. ჩვენც ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც იქცევა, მაგალითად, ევროპა – ევროპაშიც ასეა, გზადაგზა, იმის მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებებს, როგორი ეპიდემიოლოგიაა აქვთ. არც იქ არის საყოველთაო ჩაკეტვები.

– საერთოდ, რას ფიქრობთ, ამ სიტუაციაში უნდა გაგრძელდეს თუ არა სკოლებში პირისპირ სწავლება, თუ სასურველია გადავიდნენ სრულად დისტანციურ და ონლაინ სწავლებაზე? განათლების სისტემის შეფერხებით სტატისტიკის ზრდა შეფერხდება?

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მხოლოდ ბავშვებზე ეპიდემიის გატარებით დიდად ვერაფერს შევარჩევთ. მაინც და მაინც ბავშვებზე რეგულაციების დაწესება არაფერს მოგვცემს.

– 19 ოქტომბერს, უმაღლეს სასწავლებლებს უნდა განეხლებინათ სწავლა აუდიტორიებში, თუმცა, ერთი დღით ადრე, სამინისტრომ მიდგომა შეცვალა და გამოაცხადა, რომ უნივერსიტეტებში მხოლოდ პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები განახლებდა და სხვა კომპონენტები ისევ დისტანციურად წარმართება. რას ფიქრობთ, გამოიწვევს თუ არა უნივერსიტეტების გახსნა შემთხვევების ზრდას?

– მე რომ ვიყო გადაწყვეტილების მიმღები პირი, გავხსნიდი, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ სერიოზული წინააღმდეგობაა მშობლების მხრიდან და თვითონ სტუდენტებშიც სერიოზული მასობრივი შიშია. რატომღაც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პირისპირ განახლება ყველასთვის მაინც დამინაც უეღვიბოა აფეთქებასთან ასოცირდება. დიდი შიშის გამო, დაუთმობდი მშობლებს და მოუხსნიდი ამ ფსიქოლოგიურ ფაქტორს – არ გავხსნიდი. თუმცა, ეპიდემიოლოგიურად მეჩვენება, რომ ცალკე ალებული მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტების და ბავშვების სახლში ჯდომა სიტუაციას ვერ გააუმჯობესებს.

– აქვე გკითხავთ, რამდენად სწორად შემუშავდა, სამედიცინო კუთხით, სასწავლებლებში რეკომენდაციები?

– რეკომენდაციები ნამდვილად სწორად გაიცა, მთავარია, ნამდვილად მოწესრიგებულია თუ არა ინფრასტრუქტურა და ნამდვილად ასრულებენ თუ არა ამ რეკომენდაციებს სასწავლებლებში.

– ზოგადად, გრიპის სეზონი დგება, ეს ყველას დაგვაინწყდა, რადგან მთავარი აქცენტი ახლა გადატანილია კოვიდზე, არაა, შემოდგომა-ზამთრის სეზონი ვირუსული ინფექციების აღმავლობის პერიოდია. რას ურჩევთ მშობლებს?

– ვურჩევ, რომ ყოველთვის აცრან თავიანთი შვილები. უბრალოდ, წელს, სამწუხაროდ, ვაქცინის დეფიციტია, ამიტომ გამოდის, რომ ამის გამო შეიქმნა პრობლემები, მაგრამ თუ ვაქცინა ისევ განიღებ, უარი არ თქვან, აუცილებლად აცრან შვილები. და კიდევ, თუ შვილებს გრიპის სიმპტომი გამოუვლინდა, არ გაუშვან სხვა ბავშვებთან საკონტაქტოდ, რათა ნაკლებად მოხდეს სხვების ინფიცირება.

– რამდენიმე დღის წინ თქვენ დაწერეთ, რომ გრიპის ვაქცინაცია ამცირებს კოვიდის გართულებების რისკს და ამის შესახებ ბრაზილიის კვლევაც მოიშველიეთ...

– დიახ, ეს ნამდვილად ასეა. ბრაზილიაში კოვიდის მქონე 92 664 პაციენტზე ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო კოვიდის გართულებების შედარება გრიპზე აცრილ და აუცრელ ადამიანებს შორის (როგორც ვიცით, სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნებში გრიპზე ვაქცინაცია რამდენიმე თვით ადრე მიმდინარეობს, ვიდრე ჩრდილოეთ ნახევარსფეროში). წელს გრიპზე ვაქცინაციის კამპანია ბრაზილიაში 2020 წლის მარტიდან დაიწყო. კვლევამ აჩვენა, რომ გრიპზე ვაქცინირებულ კოვიდის მქონე პაციენტებში 8%-ით ნაკლები იყო იმის რისკი, რომ დასჭირდებოდათ ინტენსიური თერაპია, 18%-ით ნაკლები იყო შანსი, რომ გადაყვანილი ყოფილიყვნენ მართვით სუნთქვაზე და 17%-ით ნაკლები იყო ლეტალური გამოსავალი.

ამიტომ, მოსახლეობის მაქსიმალურად მეტი ჯგუფების გრიპზე ვაქცინაცია, კოვიდის გართულებების რისკის შესამცირებლადაც, მნიშვნელოვანია.

– მინდა გკითხოთ ნიღბების შესახებაც – უნდა ეკეთოს თუ არა ბავშვებს სკოლაში ნიღბები? თქვენ წერდით, რომ „ბევრი მშობელი ღელავს იმ გადაწყვეტილების გამო, რომ ბავშვებს მიეცათ უფლება არ ატარონ ნიღბები სკოლაში. მე ვფიქრობ, განათლების სამინისტროს ეს გადაწყვეტილება იყო სწორი შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით“. კიდევ ერთხელ რომ განმარტოთ ჩვენი მკითხველისთვის, რა ფაქტორებს გულისხმობთ?

– პირველ რიგში, ვგულისხმობ იმას, რომ ბავშვები ვერ გამოიყენებენ სწორად ნიღბს და ამიტომ არა აქვს აზრი. უფრო კონკრეტულად კი ჩამოვთვლი იმ ფაქტორებს, რატომ ვეთანხმები ამ გადაწყვეტილებას:

➔ ბავშვები ნიღბებს ხშირად სრულიად არასწორად მოიხმარენ, მიუხედავად მშობლების მითითებისა, ნიღბს კიდებენ ხელს და აბინძურებენ. როდესაც ბავშვი იგონებს დისკომფორტს პირბადის ტარებისას (და ეს დისკომფორტი პირბადის გამოყენებას ნამდვილად ახლავს), მაღალი ალბათობით, ხშირად მოიხსნის, განსაკუთრებით შესვენების დროს და მას-

წავლებლებს ძალიან გაუჭირდებათ თითოეული ბავშვის გაკონტროლება ამ მიმართულებით. დროებით მოხსნილ პირბადეს შეეხებიან ჭუჭყიანი ხელით, ჩაიდებენ ჯიბეში, შეიძლება ძირს დაუვარდეთ და ისევ აიღონ. შემდეგ ეს დაბინძურებული პირბადე ისევ მოხვდება სახეზე და გადაიქცევა მიკროორგანიზმების ნყაროდ;

➔ ბავშვები ხშირად დარბიან სკოლის ეზოში/დერეფანებში და იოფლებიან. დანესტიანებული პირბადე დაუყოვნებლივ უნდა გამოიცვალოს, რადგან შესაძლებელია გამოიწვიოს სუნთქვის გაძნელება. ამის რეგულირება სკოლაში გართულებულია;

➔ პირბადეს ვერ გამოიყენებენ ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების (განსაკუთრებით სასუნთქი და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების) მქონე ბავშვები. ამიტომ მოსწავლეებს შორის ასეთები აშკარად გამოჩნეული აღმოჩნდებიან და ეს გარკვეულად სტიგმასთან იქნება დაკავშირებული, ანუ ყველასთვის გასაგები გახდება, თუ ბავშვს პირბადე არ უკეთია, მას რაღაც პრობლემა აქვს. ბავშვის მიერ ასეთი ფაქტები მწვავედ აღიქმება და სტრესული იქნება.

ძალიან მნიშვნელოვანია, სკოლებში ჰიგიენური პირობების დაცვა და ძალისხმევაც სწორედ ამ მიმართულებით უნდა იყოს – მოწესრიგებული სველი წერტილები, ხელის სავანი დაბანის და გაშრობის საშუალება გადამწყვეტია ინფექციურ დაავადებებთან, მათ შორის, კორონავირუსთან ბრძოლაში.

– დაბოლოს, ზოგადად, რა შეცვალა კოვიდმა? რა დანიხეთ – როგორია ჩვენი საზოგადოება ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში?

– რეალურად იმაზე უფრო კანონმორჩილები აღმოჩნდნენ ადამიანები, ვიდრე მე მეგონა, ადრე უფრო უარესი წარმოდგენის ვიყავი. გაზაფხულზე ხალხმა წესები დაცვა, მერე უბრალოდ ყველა ძალიან დაიბნა იმიტომ, რომ ცოტა არათანმიმდევრული იყო ეს წესები, თან რეგულაციები მოსუსტდა, მხოლოდ ერთხელ შემთხვევებში იკეტებოდა დაწესებულებები, ამიტომ მოაღუნეს ყურადღება, თორემ, რეალურად საზოგადოებასთან სამდურავი სპეციალისტებს არ ეთქმით.

– როგორ ფიქრობთ, ხალხის მოდუნებამ იქონია გავლენა პანდემიის აღმავლობაზე?

– არა, ჩვენი მოშვება არაფერ შუაშია, ეს გარდაუვალი იყო – როცა რეგულაციებს შეასუსტებ, ცხადია, აღმავლობა იქნება. კორონავირუსის შემთხვევების ზრდასთან ერთად, სულ უფრო ხშირად გაიხსნა სპეციალისტების მხრიდან დაახლოებით ამ შინაარსის ფრაზა – ჩვენ ყველაფერი გვაკეთეთ, საქართველომ კორონავირუსთან ბრძოლაში საუკეთესო შედეგი დადო; ახლა სიტუაცია იმაზე დამოკიდებულია, როგორ მოქცევიან ცალკეული მოქალაქეები; შემთხვევათა მატება იმის ბრალია, რომ ადამიანები არ იცავენ რეგულაციებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მესიჯების იდეა ის არის, რომ თუ კოვიდის აფეთქება მოხდება, ეს იქნება რიგითი ადამიანების ბრალი, თორემ შესაბამისმა უწყებებმა ყველაფერი გააკეთეს.

ცოტა არ იყოს, არ მომწონს ეს პათოსი და ამ პასუხისმგებლობის სრულად დაკისრება მოსახლეობაზე. საქმე იმაშია, რომ ტაქტიკა და პრევენციული ღონისძიებები მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სწორად და ეფექტურად, თუ ისინი ზუსტად იმ კონტექსტსა და რეალობაზეა მორგებული, რომელიც არსებობს. ისედაც ხომ მოსალოდნელი იყო და მეც ხშირად ვიმეორებდი ხოლმე, რომ შეუძლებელია ადამიანებმა განუსაზღვრელად დიდხანს დაიცვან რეგულაციები. ამიტომ, იმდენად მოზომილი უნდა იყოს, რომ რაღაც მომენტში ყელში არ ამოუვიდეს ხალხს და სრულად არ თქვან უარი წესების დაცვაზე ყველაზე საჭირო მომენტში და მერე არ გაგვიხდეს საძახებელი, ჩვენ ყველაფერი გვაკეთეთ და ახლა თავში ქვა გიხლიათ, რაც დაგემართებათ, თქვენი ბრალია.

როდესაც რეგულაციებს ვასუსტებთ, ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ადამიანები ამით ისარგებლებენ.

საერთოდ კი, კონკრეტული ხაზი უნდა გვქონდეს, მკაფიოდ განსაზღვრული რეგულაციებით, სადაც ადამიანური სისუსტეებიც გათვალისწინებულია და ეკონომიკაც. რაღაც გაურკვეველი და შუალედური ვარიანტები და ადამიანების თვითშეგნების იმედად დარჩენა არ გამოდის. ან ისევე ყველაფრის ჩაკეტვის და იზოლაციის ტაქტიკას ვირჩევთ (პირადად მე ამ არჩევანს არ ვემხრობი), ან შესუსტებულ რეგულაციებს, ოღონდ ვაი-ვიმის და ცალკეული ადამიანების შეჩვენების და ნამუსზე შეგდების გარეშე და, ბოლოს და ბოლოს, ვეგუებით გაზრდილ სტატისტიკასაც.

სკოლაში და პანდემია

სახელმწიფო უნდა ემზადოს იმ ვითარებისთვისაც, როდესაც ისევ შეიძლება დაიკეტოს სკოლები



სიმონ ჯანაშია
განათლების სპეციალისტი

რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ პედაგოგები

პედაგოგების მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვა. ისინი მიჩვეული არიან გარკვეულ სტანდარტულ გზებს, ძირითადად, მიჰყვებიან სახელმძღვანელოებს. ხშირ შემთხვევაში, იმისთვის, რომ ასწავლონ, მათი პედაგოგიური გამოცდილება არის შეზღუდული. ამ შემთხვევაში, როდესაც დისტანციურად არიან სწავლებას, პედაგოგებს მოუწიათ სრულიად ახალი ტექნოლოგიების, ახალი პედაგოგიური მიდგომების ათვისება, ახალი რეალობის გააზრება (მაგალითად, რას ნიშნავს ის, რომ მოსწავლე დაინტერესო ვირტუალურ გარემოში), რაც სრულიად სხვა რამ არის, განსხვავებული საკლასო გარემოსგან, იმიტომ რომ, იქ შეგიძლია აკონტროლო მოსწავლის ქცევა. მასწავლებლების მნიშვნელოვან ნაწილს ტექნოლოგიების ათვისება იმიტომ გაუჭირდა, რომ კომპიუტერების გამოყენების გამოცდილება არ ჰქონდათ ისევე, როგორც იმ პროგრამების გამოყენების, რომლითაც ასწავლიან.

ასევე ძალიან რთულია დისტანციურად სწავლება იმის გამო, რომ ჩვეულებრივი სწავლებისას დარეგულირებულია ის დრო, როდესაც შენ მოსწავლესთან გაქვს ურთიერთობა, ძირითადად, საკლასო ოთახში ურთიერთობა და შეიძლება სკოლის შემდგომაც რაღაც პერიოდები, მაგრამ დისტანციური სწავლების დროს ეს ურთიერთობა შეიძლება 24 საათის განმავლობაში გრძელდებოდეს. ფსიქოლოგიურად ესეც ცოტა რთულია და მასწავლებლებს გაუჭირდათ საკუთარი დროის დაგეგმვა.

რამდენად მზად აღმოჩნდა განათლების სამინისტრო ახალი გამოწვევების პირისპირ

პანდემია მოულოდნელი იყო სამინისტროსთვის და ის რესურსები, რაც მანამდეც ჰქონდათ შესყიდული, მაგალითად microsoft-პროგრამები, ისიც მაინცდამაინც არ გამოიყენებოდა ჩვეულებრივ პირობებში, თან ძალიან სწრაფად მოუწიათ ამ პროგრამების გაერცხლება მასწავლებლებში. წარმოიდგინეთ, 60 000 მასწავლებელზე საუბარი და მოსწავლეებზე (მოსწავლეების რაოდენობა გაცილებით დიდია, ალბათ, ნახევარ მილიონამდე). ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელია იმის უზრუნველყოფა, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს ყველა მოსწავლე იკმაყოფილებდეს. სახელმწიფომ, პრინციპში, გარკვეულწილად, სწრაფად იმუშავა დასასწავლის, მაგრამ გაცილებით მეტის გაკეთება იყო შესაძლებელი თუნდაც იმ მხრივ, რომ, მაგალითად, სკოლის დირექტორებისთვის მიეცათ უფრო მკაფიო რეკომენდაციები როგორ შეიძლებოდა დისტანციური სწავლების პროცესის

ანყოფა, მიენოვებინათ მოდელები როგორ შეიძლება დისტანციურად ასწავლო კონკრეტული საგანი, ასევე რეკომენდაციები როგორ დაეხმარებოდნენ მოსწავლეებს, როდესაც მათ არ ჰქონდათ ალტურვილობა, ვიდეოსთან ინტერნეტი არ მუშაობდა წესიერად და ა.შ.

დამატებითი ხარჯი

მოსწავლეები და სტუდენტები ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პანდემიის დაწყების შემდეგ იმიტომ, რომ მათ ახალი ხარჯების გაღება მოუწიათ, მოსწავლეების შემთხვევაში, მშობლებს მოუწიათ დამატებითი ხარჯის გაწევა იმისთვის, რომ შეიღებოდა სკოლა და დისტანციურად გაეცლო სასკოლო თუ საუნივერსიტეტო კურსები. ბევრ ოჯახს დასჭირდა ახალი კომპიუტერის ყიდვა, ზოგს – ინტერნეტის სერვისის გაზრდა, ზოგს – დაყენება, ზოგს – ტელეფონის ყიდვა და ა.შ. ნაწილს ამის შესაძლებლობაც არ ჰქონდა.

სტუდენტების პრობლემები კიდევ სხვა იყო, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქირაობს ბინას სხვა ქალაქში ან ცხოვრობს არა იქ, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ეს ცალკე პრობლემა იყო. მათ მოუწიათ სახლებში დაბრუნება იმისთვის, რომ შეემცირებინათ ხარჯი და ამან ისიც გამოიწვია, რომ მოხვდნენ ისეთ ადგილას (ზოგ შემთხვევაში – სოფლებში, პატარა ქალაქებში), სადაც ინტერნეტის პრობლემებია, რამაც კიდევ უფრო გაურთულა სწავლა. მაგრამ ძირითადი პრობლემა მაინც ის იყო, რომ მათ მასწავლებლებსა და პროფესორებს არ ჰქონდა დისტანციურად სწავლების გამოცდილება, ამიტომ განათლება, რომელსაც ისინი ამ პერიოდში იღებდნენ, შეიძლება სულაც არ იყო საუკეთესო ხარისხის.

მთავარი პრობლემა, რომლის მოგვარებაც შეიძლება, მაგრამ სახელმწიფომ ვერ მოახერხა

სახელმწიფომ ჩათვალა, რომ ის არის ერთადერთი ძალა და ერთადერთი მოთამაშე ამ პირობებში და შეეცადა, მხოლოდ საკუთარი ძალებით მოეგვარებინა მასწავლებლის პრობლემები. ეს, ჩემი აზრით, შეცდომაა. სახელმწიფოს შეეძლო ფართო მობილიზაცია გამოეცხადებინა, მაგალითად, ჩაერთო სტუდენტები, უნივერსიტეტების პროფესორები, სატრენინგო ორგანიზაციები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ დისტანციურ განათლებაზე, უნდა შეეკრიბა ყველა, ვისაც შეეძლო სკოლების დახმარება. ეს ერთი და მეორე, რაც, ჩემი აზრით, უკეთესად უნდა გაეკეთებულყოფი, უნდა გამოეყენებინათ ყველა ის ბავშვი, ვისაც ჩართვის პრობლემა ჰქონდა და მათ უნდა დახმარებოდა სახელმწიფო, თუნდაც ალტურვილობის თხოვნით ან შეიძლება ჩუქებითაც კი. ასევე, სახელმწიფოს შეეძლო მნიშვნელოვნად გაეფართოებინა ინტერნეტის ქსელი იმიტომ, რომ ეს აბსოლუტურად აუცილებელი პირობა იყო იმისათვის, რომ მოსწავლეებს დისტანციურად ესწავლათ გამართულად, თორემ, ცხადია, დისტანციურად შეიძლება ინტერნეტის გარეშეც ისწავლო. მე მგონია, რომ ეს საკითხები სახელმწიფომ ვერ გადაჭრა.

გარდა იმისა, რომ მასწავლებლებს უნდა ჰქონოდათ მკაფიო სკენარები, როგორც მუშაობენ მოსწავლეებთან, მაგალითად, როგორ მუშაობს მასწავლებელი, ტელესკოლის გამოყენებით, მოსწავლეებთან – რა დავალებებს აძლევს, მერე როგორ ამომწებს ამ დავალებას, მასწავლებლებისთვისაც უნდა ეთხოვათ, რომ კოლეგებისთვის საკუთარი გამოცდილება გაეზიარებინათ. ეს იქნებოდა, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი.

გარდა ამისა, სახელმწიფომ ბევრი დრო დაკარგა ახალი სასწავლო წლის ეფექტურად დასაგეგმად. რეალურად სახელმწიფოს, მთელი ამ თვეების განმავლობაში, როდესაც სკო-

ლები დახურული იყო, შექმნილი ვითარება უნდა გამოეყენებინა სკოლების ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებისთვის. მაგალითად, სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების შესაბამისად ტუალეტების მოსაწყობად, წყლის გაყვანილობის გასამართად და სხვ. ეს საუკეთესო დრო იყო ამის გასაკეთებლად. სკოლები, ზაფხულში, მხოლოდ ორი თვით არის ხოლმე დახურული და სახელმწიფო ხშირად ვერ ასწრებს მათ რეაბილიტაციას, მაგრამ როდესაც მარტიდან სექტემბრამდეა სკოლები დახურული და სახელმწიფო პრაქტიკულად არაფერს აკეთებს ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ჩემი აზრით, ეს შეცდომაა.

როგორია სამინისტროსა და პედაგოგების მზაობა 2020-2021 სასწავლო წლისთვის

მთავარი გამოწვევა ახლა უსაფრთხოებაა, სახელმწიფომ უნდა შეძლოს მოსწავლეების მაქსიმალურად დაცვა ინფექციის გავრცელებისგან, ასევე უნდა დაცვათ საზოგადოება, სკოლა არ უნდა გახდეს ინფექციის გავრცელების წყარო. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა დაეხმაროს სკოლებს, ეს არის პირველადი ამოცანა, მაგალითად, იმით, რომ სკოლებს ჰქონდეთ საკმარისი რესურსები დეზინფექციისთვის, იყოს მონყობილი ტუალეტები, იყოს სასმელი წყალი, დაატრენინგოს მასწავლებლები როგორ მოიქცნენ.

სახელმწიფო უნდა დაეხმაროს სკოლებს იმაშიც, რომ მათ ჰქონდეთ ბერკეტები, როგორ იურთიერთონ მშობლებთან იმიტომ, რომ მშობლების მნიშვნელოვან ნაწილს, და მასწავლებლების მნიშვნელოვან ნაწილსაც, საერთოდ არ სჯერა, რომ რაიმე საფრთხე არსებობს და მოსწავლეები ამ საფრთხის წინაშე არიან. მნიშვნელოვანია, მშობლების დარწმუნება, რომ სახუმარო და სათამაშო ვითარება არ არის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა სერიოზულად მიუდგეს ამას.

პარალელურად, სახელმწიფო უნდა ემზადოს იმ ვითარებისთვისაც, როდესაც ისევ შეიძლება დაიკეტოს სკოლები იმიტომ, რომ ჩვენ დავინახეთ, ევროპაშიც და ამერიკაშიც, სკოლები გახსნას შეიძლება სერიოზული უკუეფექტი ჰქონდეს. ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით. იქ სკოლები იკეტება ხელახლა და ასეთ პირობებში სახელმწიფომ უნდა სცადოს, მაქსიმალურად გააუმჯობესოს, ერთი მხრივ – ინფრასტრუქტურა, მეორე მხრივ – მასწავლებელს ჰქონდეს ყველა ის შესაძლებლობა, რომ სათანადოდ დაეგეგმოს სასწავლო პროცესი და ცხადია, აუცილებლად უნდა მოხდეს მოსწავლეების გამოვლენა (იმ გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც 2019-2020 სასწავლო წლიდან გვექონდა) იმისთვის, რომ ყოველ კონკრეტულ მოსწავლეს დაეხმაროს სახელმწიფო, ან ადგილობრივი ხელისუფლება, ან სკოლა, ან სახელმწიფო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო ჩაკეტვის შემთხვევაში

დაეხმაროს სკოლებს რეგულაციების შერბილებაში ან განსაზღვრაში იმისთვის, რომ სკოლებმა საკუთარი ალტურვილობა, რაც მათ აქვთ, მაგალითად, სკოლაში არსებული კომპიუტერები მაქსიმალურად გამოიყენონ სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის.

უნივერსიტეტების შემთხვევაში, სახელმწიფოს, ასევე, შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებს იმით, რომ, მაგალითად, უფასო ინტერნეტის გაფართოება მოხდეს ქალაქებში ან სტუდენტებისთვის მობილური პაკეტების სუბსიდირება, სპეციალურად, იმ მიზნით, რომ მათ რაც შეიძლება ნაკლები ხარჯი ჰქონდეთ. ასევე, უნდა შეეცადოს, რომ უნივერსიტეტებს ჰქონდეთ მაქსიმალურად სწრაფი ინტერნეტი იმისთვის, რომ შეუფერხებლად აწარმოონ დისტანციური სწავლება და სხვ.

თამაშზე დაფუძნებული სწავლება

Minecraft Education Edition-ის საპილოტოდ დანერგვის პროცესი

Minecraft Education Edition-ის საპილოტოდ დანერგვის პროცესში ჩართული მასწავლებლების დაჯილდოების ონლაინ ცერემონია გაიმართა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირის №2 საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი თეა შეროზია დამსწრე საზოგადოებას, Microsoft-ის საგანმანათლებლო პლატფორმის დანერგვის კუთხით, საკუთარ გამოცდილებაზე ესაუბრა.

„ძალიან მნიშვნელოვანი დღეა! მიხარია, რომ მაქვს შესაძლებლობა, მივულოცო მასწავლებლებს Minecraft Education Edition-ის საპილოტოდ დანერგვის პროცესში წარმატებული მონაწილეობა, – განაცხადა მიხილ ჩხეკელიძე, – დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს. საქართველოში, თქვენი ჩართულობით, დაიწყო უადრესად მნიშვნელოვანი ეტაპი – Minecraft-ის საგანმანათლებლო პლატფორმის დანერგვა! ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს მეგობრებსა და კოლეგებს კომპანია Microsoft-დან, განსაკუთრებით კი განათლების მინისტრის ვიცე-პრეზიდენტს, ენტილი სალსიტოს, რომელიც მუდმივად გვეხმარება და ხელს გვიწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში Microsoft-ის პროდუქტების ეფექტურად დანერგვაში.“

განათლებაში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირების

რების სასიცოცხლო აუცილებლობა კორონავირუსის გლობალურმა პანდემიამ კიდევ უფრო აშკარად დაგვანახა. დარწმუნებული ვარ, რომ Minecraft-ის საგანმანათლებლო პლატფორმის დანერგვა ძალიან ეფექტური ნაბიჯი იქნება განათლების ხარისხის ამაღლების კუთხით.“

განათლების მინისტრმა აღნიშნა, რომ თამაშზე დაფუძნებული სწავლება მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს ხდის. სწავლის პროცესი მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს უნდა იწვევდეს. Minecraft Education Edition პროგრამის მეშვეობით გაადვილდება საკლასო ოთახის მენეჯმენტი, ჯგუფური სამუშაოებისა და სამინაო დავალებების შესრულება. პროგრამის, როგორც დამატებითი რესურსის, გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ საგანში ცალკე ან ინტეგრირებულად, საშუალო განათლების ნებისმიერ საფეხურზე. Microsoft-ის საგანმანათლებლო პლატფორმა, ეტაპობრივად, საქართველოს ყველა სკოლაში დაინერგება. თამაშით სწავლა – 21-ე საუკუნის პედაგოგიური მიდგომა – სასწავლო პროცესს უფრო ეფექტურსა და საინტერესოს ხდის.

პროექტი „Microsoft-საქართველოსთან“ თანამშრომლობითა და კომპანიის „Mindworks Education“ ჩართულობით

ხორციელდება. Minecraft Education Edition-ის დანერგვის მიზნით, პირველ ეტაპზე, 150-ზე მეტი პედაგოგი გადამზადდა. პროცესი დისტანციურად წარიმართა. გადამზადებული მასწავლებლები, შემდგომში, მონაწილეობას მიიღებენ Minecraft-ის სხვა სკოლებში დანერგვასა და სასწავლო პროცესში ეფექტიან ინტეგრირებაში.

პროექტში ჩართულმა მასწავლებლებმა შემუშავეს კომპლექსური დავალებები I-X კლასებისთვის. ასევე, მომზადდა ინსტრუქციები მასწავლებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსების ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <https://eduminecraft.mindworks.ge/> პილოტების ეტაპზე, V-X კლასების 2000-მდე მოსწავლე, მასწავლებლებთან ერთად, ქმნიდა სამყაროს შვიდ სხვადასხვა დისციპლინაში (ქართული, მათემატიკა, ინგლისური, ქიმია, ბიოლოგია, ისტორია, მუსიკა) და ეუფლებოდა საგნობრივ და გამჭოლ კომპეტენციებს.

პროექტის ფარგლებში, 4-დღიანი ონლაინ კონფერენცია ჩატარდა, სადაც გადამზადებულმა მასწავლებლებმა, პრეზენტაციების საშუალებით, საკუთარი შედეგები სხვა პედაგოგებსაც გაუზიარეს. კონფერენციას 1000-ზე მეტი ონლაინ მსმენელი ჰყავდა. კონფერენციის ვიდეორეგისტრაცია განთავსებულია ბმულზე: <https://eduminecraft.mindworks.ge/training-webinars/>

გობონა ჩილდან – NIÑA DESDE CHILE

რუბრიკის სტუმარი სანტიაგოს AIEP-ACADEMIA DE IDIOMAS Y ESTUDIOS PROFECIONALES-ის სტუდენტი ნინო ჭალიაშვილი

სკოლის წლები

დავამთავრე თბილისის 69-ე საჯარო სკოლა. დამამთავრებელ კლასში გადავწყვიტე, ექსტერნად ჩამებარებინა გამოცდები და ეს, დიდი ძალისხმევით, ფასად, ჩემი და ჩემი მასწავლებლების დამსახურებით, შევეძელი. დიდი შრომა ჩადეს ჩემში, რის გამოც მათი ყოველთვის მაღლიერი ვიქნები. ჩემს ცხოვრებაში ეს იყო პირველი გარდამტეხი ნაბიჯი. სკოლის გამოცდების დამთავრებისთანავე, ეროვნული გამოცდებისთვის მომზადება დაიწყო და იმავე წელს ჩავირიცხე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც სკოლამ მომცა, ადამიანებია, შეუცვლელი მეგობრები, რომლებიც ძალიან დიდ როლს თამაშობენ ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

გზა ოქიანის გადასავლელად

მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც სამშობლოდან ძალიან შორს, საცხოვრებლად, ჩილემი მომიწია წამოსვლა. ჩემი აზრით, ოცი წელი, სწორედ ის ასაკია, როდესაც ახალ გამოწვევებს უნდა შეეჭიდო. ეს იყო ძალიან დიდი ნაბიჯი ჩემთვის – დამოუკიდებლად დამეწყა ახალი ცხოვრება, მესწავლა ბევრი ახალი რამ – ახალი პროფესია და ახალი ენა. ადაპტაცია სრულიად უცხო ქვეყანასთან ძალიან რთული იყო. ერთი შეხედვით, ყველაფერი ლამაზად ჩანდა, თუმცა მაშინ ვერც კი ვაცნობიერებდი თუ რა სირთულეების გადალახვა მომიწევდა. ხუთი წელია, ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში ვცხოვრობ. ვაგრძელებ სირთულეებთან ბრძოლას, თუმცა, ფინანსურად მხოლოდ საკუთარ თავზე დამოკიდებულება ძალიან დიდ ძალას მძლევს.

გავშვობიდან არჩეული პროფესია

ვსწავლობ სანტიაგოს ერთ-ერთ კერძო სასწავლებელში – AIEP-Academia de Idiomas y Estudios Profecionales, რომლის არჩევაც ძალიან სპონტანურად გადავწყვიტე. როდესაც სასწავლებელმა მივთხოვა გამოცხადება, ფინანსების არქონის და ესპანური ენის სრულყოფილად არცოდნის გამო, არ ვაპირებდი სწავლის დაწყებას. თუმცა, საბუთები მაინც შევიტანე და ჩავირიცხე. რაც შეეხება პროფესიას, ბავშვობიდან მინდოდა, რაიმე წვლილი შემიტანა ადამიანის ცნობიერების ამაღლებაში, დავხმარებოდი იმ სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც სრულყოფილად ვერ იმკვიდრებენ თავის საზოგადოებაში. ამ მხრივ, საქართველოში, ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი პროფესიით, ოდნავ მაინც, შევუწყობ ხელს კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობას, მიუხედავად მათი განსხვავებული შეხედულებებისა, სქესისა, რწმენისა, ეკონომიკური მდგომარეობისა თუ სხვა.

სასწავლებელში პირველი წელი არც ისე მარტივი იყო, თუმცა განსაკუთრებით კომპიუტერი. წარმოიდგინეთ, ჩილემი ცხოვრობს ქართველი გოგონა, იმ მცირერიცხოვანთა ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც კავკასიური ზონიდან სასწავლებლად აქ ჩამოვიდა. სწორედ ამიტომ, ლექტორებს ხშირად ჰქონდათ შეკითხვები ჩემთან. შეკითხვებზე ვაპირებდი ველოზე, ქართულ საგანმანათლებლო სისტემაზე. რადგან ესპანურად გამართულად ვერ ვსაუბრობდი, ხშირად გაუცნობიერებლად ვიყენებდი ჟესტებს და ჟარგონებსაც, რაც ყველასთვის ძალიან სასაცილოდ ყლერდა.

უნივერსიტეტში გრანტების მოპოვება მხოლოდ ოჯახის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის საფუძველზე ხდება. უცხოელი სტუდენტისთვის გრანტის მოპოვება ძალიან რთულია. არსებობს სტუდენტური კრედიტები, რომელიც საშუალებას გაძლევს, გადასახადის ნაწილი დაფარო და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, საკუთარი შემოსავლით, გადაფარო კრედიტი. თუმცა, მე ეს არასდროს გამომიყენებია.

უცხოური და ქართული განათლება

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს უნივერსიტეტში სწავლების გამოცდილება მაქვს, ჩემი მაგალითით შემოიძლია გითხრათ, რომ აქ უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ტექნოლოგიურად მეტადაა განვითარებული, სასწავლო აუდიტო-

რები აღჭურვილია სათანადო ტექნიკით. დამოკიდებულება სტუდენტებსა და ლექტორებს შორის მეტად გახსნილი და უშუალოა, რაც ძალიან კომფორტულს ხდის სასწავლო პროცესს.

საუნივერსიტეტო ბიზლიოთეკა

ბიბლიოთეკას ყველა სასწავლებელში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები ყველგან ინდივიდუალურადაა მოწყობილი. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ყველა ფაკულტეტს საკუთარი ბიბლიოთეკა აქვს. გამოყოფილია ოთახები, მთელი დღის განმავლობაში, ჯგუფური სამუშაოებისთვის და ასევე, ხელმისაწვდომია კომპიუტერები და წიგნების ელექტრონული ვერსიები (ყველა ნათარგმნია ესპანურ ენაზე).

საინტერესო საუნივერსიტეტო სივრცე

უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ადგილმა, სადაც შეგიძლია დაისვენო და ისადილო. ამას დიდი ყურადღება ექცევა, სივრცე მოწყობილია განსაკუთრებულად და აღჭურვილია მიკროტალღური ღუმელებით, სადაც შეგიძლია გააცხელო სახლში მომზადებული საკვები, რაც დღესდღეობით დიდი ფუნქციაა. სამწუხაროდ, სწრაფი კვების ობიექტები, ხშირ შემთხვევაში, არასასარგებლო საკვებითაა სავსე.

ონლაინ სწავლება

ჩემს სასწავლებელში ონლაინ სწავლება პანდემიამდეც ხელმისაწვდომი იყო, თუმცა, უპირატესობას აუდიტორიულ სწავლებას ვანიჭებ. კონცენტრაცია ბევრად უფრო მიაღწევდა და ლაივ კომუნიკაცია უფრო მარტივია ჩემთვის. მით უმეტეს მაშინ, როცა ლექციის განმავლობაში ხშირად მიწევს ლექტორისთვის კითხვის დასმა ან თხოვნა, უფრო გასაგებად ამიხსნას საკითხი, რომელიც ვერ გავიგე.

გამოცდილები გაზიარება

„ყოველთვის, როცა დაიღვლები და გაჩერებას გადაწყვეტ, გაიხსენე რატომ დაიწყე“

მიმარჩია, რომ ყველაზე დიდი მონაპოვარი, რაც უცხოეთში სწავლის გაგრძელებამ მომიტანა, დამოუკიდებლობაა, ასევე, საკუთარი ძალის შეცნობა და შესაძლებლობების გამოვლენა. ძალიან რთულია თავის დამკვიდრება, მით უმეტეს ისეთ დიდ ქალაქში, როგორც სანტიაგო. დედაქალაქში 7 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და კონკურენციაც ბევრად დიდია. თუმცა, თითოეულმა ახალმა ისტორიამ, ახალმა გაცნობილმა ადამიანმა შეუფასებელი ცოდნა და გამოცდილება მომიტანა. ვფიქრობ, ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ შანსი, დაიწყონ დამოუკიდებლად ცხოვრება, გაეცნონ ახალ კულტურას. ყველა თეორიულ ცოდნაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს მგონია, მიიღო ახალი გამოწვევები და სრულიად უცხო ადგილას, მარტოებმა, შეძლონ ამ ყველაფრის დაძლევა.

როდესაც აქ ჩამოვედი, მე, როგორც ქართველს, არ მქონდა უნივერსიტეტში შესვლის უფლება, რადგან საქართველოსა და ჩილეს შორის არ არსებობს ხელშეკრულება, ჩილეს განათლების სამინისტრო საქართველოს განათლებას არ სცნობს, არც უმაღლესს და არც საშუალოს. რა თქმა უნდა, ჩამოსვლამდე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, ეს ჩემთვის დიდი შოკი იყო. რაღაც მომენტში ვიფიქრე, უკან დაიხივებ და საქართველოში დაგბრუნდები-მეთქი, მაგრამ ჩემმა ერთმა თვისებამ – რასაც დაიწყო, ბოლომდე მიყვებ და შუაგზაზე არ მივატოვო (არ ვიცი ეს კარგია თუ ცუდი), ჩილემი დარჩენა გადაამწყვეტინა, მაპოვინა ძალა, დაწყებული საქმის გასაგრძელებლად. დღემდე გული მწყდება, როცა ჩემს მეგობრებს ერთად ვხედავ, როგორ აღნიშნავენ ერთმანეთის დაბადების დღეებს, ჩემგან სამი დღის (თვითმფრინავით) გზაზე, ძალიან შორს. მაშინაც, როცა შაბათ-კვირას ყველა გასართობად ემზადება და მე სამსახურში მივდივარ...

მოკლედ, მომიწია მომეძებნა გამოსავალი, გზა. ვიპოვე ერთი სკოლა, სადაც ერთი წლის განმავლობაში გავივლიდი სწავლების კურსს და წლის ბოლოს, გამოცდების საფუძველზე, ავიღებდი ჩილეს სკოლის ატესტატს. ასეც მოხდა... ახლა,



უნივერსიტეტის ბოლო კურსზე ვარ. პრაქტიკა და სადიპლომო თეზისის დაცვა დამრჩა, მაქვს ორი სკოლის – ქართული და ჩილეს ატესტატები. მე ეს შევეძელი დამოუკიდებლად, 22 წლის ასაკში და ესპანურ ენაზე.

ეს ყველაფერი იმიტომ გამაბნო, რომ ძალიან რთულია საერთაშორისო სასწავლო პროცესს აუწყო ფეხი, მაგრამ ეს გვეძენს სწორედ ძალას და დამოუკიდებლობას, იბრძოლო იმისთვის, რისი მიღწევაც ყველაზე ძალიან გსურს. მიღწეული შედეგით ტკბობა ბევრად სასიამოვნოა.

თავისუფალი დრო და ჩილელი მეგობრები

თავისუფალ დროს, როცა საშუალება მაქვს, მივდივარ დიდი პარკების დასათვალიერებლად, მუზეუმებში, მეგობრებთან, მიყვარს აუზთან, მზის ქვეშ, წიგნების კითხვა, ვუყუარებ ფილმებს. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ვმუშაობ მაშინ, როცა არ ვსწავლობ და ძალიან ცოტა თავისუფალი დრო მრჩება. ჩილელ ახალგაზრდებს ძალიან უყვართ გართობა, ძალიან მშვიდები არიან და იშვიათად იძაბებიან. ჩილეს ფონზე, ხშირად, ძალიან მკაფიოდ ჩანდა ჩემში გამჯდარი ქართული დაძაბული მუხტი. ლექციების შემდეგ ახალგაზრდები ხშირად მიირთმევენ თითო ბოთლ ლუდს, განსაკუთრებულად.

გობონა ჩილდან – NIÑA DESDE CHILE

სოციალურ ქსელში გვერდის შექმნის იდეა დიდხანს მქონდა, თუმცა, კარგა ხანი ვერ ვწყვეტი. ბოლოს, კორონავირუსის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, დაიწყო ვიდეოების გადაღება. ჩემი მიზანი იყო, ქართველებისთვის გამეცნო ჩილეს ისტორია, კულტურა, ყოველდღიურობა, საკვები... მეჩვენებინა ის არაჩვეულებრივი ადგილები, რომელიც ჩილემია. თუმცა, კორონას გამო, ცოტა რთული გახდა ამ ყველაფრის განხორციელება, მაგრამ აუცილებლად მალე აღვადგენ ისევე ვიდეოების გადაღებას და ძალიან საინტერესო სახალღეები მექნება. გვერდს „გობონა ჩილედან – Niña desde Chile“ დავარქვი იმიტომ, რომ ესპანურად გოგონა – „ნიინა“ ძალიან გავდა ჩემს სახელს და შევარჩიე მეგობრებთან ერთად.

მომავლის გეგმები

რა თქმა უნდა, სამომავლოდ, საქართველოში დაბრუნებას ვეგემა და პროფესიულად განვითარებას. ვფიქრობ, უცხოეთში დაგროვილი გამოცდილება ძალიან დამეხმარება საკუთარი თავის განვითარებაში, თუმცა, იმის ილუზია არ მაქვს, რომ მხოლოდ უცხოეთში მიღებული განათლება, ჩემი CV-ის მთავარი პირობა იქნება. მინდა, რეალური წამატებებისა და ცოდნის გამო ვიყო საინტერესო დამსაქმებლისთვის. ამიტომაც ძალიან ბევრს ვშრომობ და ვსწავლობ. ბევრი გეგმა და ინტერესი მაქვს, რაც ჩემს პროფესიასთანაა დაკავშირებული. თუმცა, განსაკუთრებით მაინტერესებს სასწავლო ინსტიტუტებში სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა.

ფიქრები საქართველოზე

ძალიან ბევრს ვფიქრობ საქართველოზე. განსაკუთრებით, როგორი იქნება ჩემი სამშობლოში დაბრუნება. ბავშვობაში პატრონი ვიყავი, უზომოდ შეყვარებული ჩემს ქვეყანაზე. ვწერდი ლექსებს, ჩანახატებს, შემდეგ გადავწყვიტე, რომ საქართველოს გაიდეალე ფსევდო გრძობა იყო და ცოტა ნაცისტური.

ახლა, შორიდან, საქართველო ბევრად საინტერესო მეჩვენება, ბევრად პატარა და კიდევ უფრო ლამაზი. განსაკუთრებით ვნანობ, რომ ვერ მოვახერხე ლისნესანინოვი ადგილების მონახულება. თუმცა, ყველაფერი წინაა. როცა ჩამოვალ, აუცილებლად შემოვივლი საქართველოს. არასდროს მესმოდა ემიგრანტების, რომ ამბობდნენ, ქართული მინა მენატრებო, ახლა მეც ასე ვარ. მინაც მენატრება, გაზაფხულის სურნელიც, ყველაფერი ქართული განსაკუთრებულად კარგი მეჩვენება. ალბათ, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა, როცა დაგბრუნდები, ბევრ რამეს ვეღარ ვიცნობ. როცა იმ დღეზე ვფიქრობ, საქართველოში დაბრუნებული როგორ გავიცი გზას აეროპორტიდან ჩემს სახლამდე, რაღაც სიცარიელეს სასწავლო ინსტიტუტებში სოციალური მუშაკის ინსტიტუტის დანერგვა.



თვალსაზრისი

ვინ უნდა იყვნენ ძირითადი მოთამაშეები?

„დუმბილი ვერ შობს პროგრესს.“
პილარი კლინტონი



დღეისათვის ცხადია, რომ სკოლებზე გადანაწილებულია გადამწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებანი საკმაოდ მეორეხარისხოვან საკითხებთან დაკავშირებით და ამ ყოველივეს უწოდებენ დეცენტრალიზაციას. მეგობრებო, ეს არ არის ნამდვილი დეცენტრალიზაცია. აი, ნამდვილი დეცენტრალიზაციის განსაზღვრება: მნიშვნელოვან საკითხებზე, ამასთან, მრავალ მნიშვნელოვან საკითხზე მართვის დაბალი საფეხურებისათვის გადამწყვეტილებების მიღებისა და რეფორმების დაგეგმვის უფლებამოსილებათა გადანაწილება.

თანამედროვე მსოფლიოს ცივილურ, განვითარებულ ნაწილში დეცენტრალიზაციის პროცესი, უკვე რამდენიმე ათწლეულია, დასრულებულია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში, საქართველოში კი მხოლოდ ყური მოგვიკრავს ამ ტერმინისთვის, განხორციელებასა და დაწინაურებას ვინ ჩივის.

მეგობრებო, ჩვენ ყველას უნდა გვქონდეს საერთო განცხადება: „ეს ჯერ ჩემი სამშობლოა და მერე თქვენი“, რაც იმას ნიშნავს, რომ, პირველ რიგში, ჩვენ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის ბედზე და არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ სხვები გააკეთებენ ქვეყნის საქმეებს, რომ სხვებმა უნდა გააკეთონ. გავიხსენოთ რას ნერდა არისტოტელე – ადამიანი პოლიტიკური არსებაა და ის აქტიურად უნდა იყოს ჩართული საზოგადოებისა და ქვეყნის პრობლემათა გადაჭრის საქმეში.

მხედველობაში მაქვს ის, რომ დირექტორებმა და მასწავლებლებმა მეტი ვთქვათ და მეტი ვიმოქმედოთ განათლების სფეროში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. არა? მომდევნო ათწლეულებში ჩვენ გვემუქრება ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები (2-5%), სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, გლობალურ გარემოში არაკონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსები (რაც ეკონომიკის განვითარების უმთავრესი ფაქტორია), უცხოური პროდუქციით გადავსებული შიდა ბაზარი, დაბალი ხარისხის დემოკრატია, ადამიანის უფლებათა დაცვის დაბალი ინდექსი, დანაშაულებათა მაღალი მაჩვენებელი, არაპროფესიული ადამიანური ურთიერთობები... შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ სოკრატეს დროიდან ამბობდნენ განმანათლებლები, რომ განათლება განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მდგომარეობას. სწორედ ამიტომ ამბობდა ახალ დროში ფ. ბეკონი: „ცოდნა ძალაა. ადამიანს იმდენი შეუძლია, რამდენიც მან იცის“.



პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ დეცენტრალიზაცია არის ერთ-ერთი ყველაზე ნამდვილი, ეფექტური გამოსავალი შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობიდან (როგორც ვი-

ციტ, საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით, ზოგადი განათლების უმთავრესი მაჩვენებლების მიხედვით, ბოლო ადგილებზე ვართ). დეცენტრალიზაციის პირობებში საკუთრივ სკოლები – დირექტორი, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები – შექმნიან თავიანთი სკოლების განვითარების, რეფორმების კონცეფციას, ხოლო განათლების სამინისტრომ და ექსპერტებმა ის ან უნდა დაამტკიცონ, ან უარყონ. გავიხსენოთ როგორ ხდება იდეების გენერირება ძლიერ კომპანიებში. იდეების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის საკუთრივ მაღალი კონსულტანტებისგან, ვინაიდან უშუალო შეხება სწორედ მათ აქვთ მომხმარებლებთან და სწორედ ისინი იცნობენ ყველაზე უკეთ მომხმარებლის საჭიროებებსა და მოთხოვნებს და შესაბამისად, მათ ძალიან კარგად იციან თუ როგორი სამომხმარებლო თვისებები უნდა ჰქონდეს კომპანიის პროდუქტს.

განათლების სამინისტრო კი, როდესაც თვითონ გვემავს რეფორმებს, ამით ირიბად ეუბნება სასკოლო საზოგადოებას, რომ თქვენ მწირი ინტელექტი გაქვთ და თქვენს მიერ დაგეგმილი რეფორმები ვერაფერი იქნებაო. მე კი თითქმის თხუთ-

- საგნები;
- 3) რა საგნები ვასწავლოთ;
- 4) რომელი ასაკიდან ვასწავლოთ არჩევითი საგნები;
- 5) რა ვასწავლოთ XI-XII კლასებში და რა ხანგრძლივობით;
- 6) რომელი საგნები უნდა იყოს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სწავლების;
- 7) მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მოტივაცია;
- 8) როგორი უნდა იყოს ორგანიზაციული და მართვის სტრუქტურა (ანუ საშტატო განრიგი).

მეტიც, სკოლას უნდა ჰქონდეს უფლება, ნებისმიერ საკითხზე წარუდგინოს განათლების სამინისტროს თავისი ინიციატივები, მაგალითად, იმის შესახებ: ცაცდენების რა რაოდენობის შემთხვევაში მოუწევს მოსწავლეს ექსტრენატივით ფორმით გამოცდის ჩაბარება მომდევნო კლასში გადასასვლელად ან სჭირდება თუ არა კლასის დამრიგებლები მაშინ, როდესაც სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, მანდატური და საქმის მწარმოებელი; განმავითარებელი შეფასებებით შემოვიფარგლოთ თუ ორივე სახის შეფასებით ვისარგებლოთ

- ✓ დეცენტრალიზაცია ერთ-ერთი ყველაზე ნამდვილი, ეფექტური გამოსავალია შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობიდან.
- ✓ დეცენტრალიზაცია გამოიწვევს სკოლების გამოღვიძებას. მაღე გაჩნდება აურაცხელი ინიციატივა თითქმის ყველა სკოლისგან, ამასთან, სკოლები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ შეხედულებებს, ერთი სკოლა რომ შედეგებს მიაღწევს, სხვებიც აიღებენ მისგან მაგალითს და ამ სინამდვილესა და ურთიერთქმედებებში ბევრი რამ დაიხვეწება და პროგრესიც მაღე გახდება თვალშისაცემი.
- ✓ სკოლას უნდა ჰქონდეს უფლება, ნებისმიერ საკითხზე წარუდგინოს განათლების სამინისტროს თავისი ინიციატივები.

მეტწილიანი პრაქტიკა მიჩვენებს, რომ აქ, სკოლებში საკმარისად დიდი ინტელექტუალური კაპიტალია და მეტიც, დავარდევთ თავმდაბლობის ეთიკურ პრინციპს და გეტყვი, რომ სკოლის პერსონალს იქნებ უკეთესი რეფორმების ინიცირება შეუძლია, ვიდრე სამინისტროს ტოპ-მენეჯმენტსა და განათლების ექსპერტებს.



აი, რა მიმართულებებით უნდა გადავიცეთ სკოლებს რეფორმების განხორციელების უფლებები:
1) მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სკოლის ბაზაზე;
2) რა პროპორციით ვასწავლოთ არჩევითი და სავალდებულო

ან განმსაზღვრელ შეფასებას ჰქონდეს თუ არა ოფიციალური სტატუსი და ა.შ.

დეცენტრალიზაცია გამოიწვევს სკოლების გამოღვიძებას. მაღე გაჩნდება აურაცხელი ინიციატივა თითქმის ყველა სკოლისგან, ამასთან, სკოლები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ შეხედულებებს, ერთი სკოლა რომ შედეგებს მიაღწევს, სხვებიც აიღებენ მისგან მაგალითს და ამ სინამდვილესა და ურთიერთქმედებებში ბევრი რამ დაიხვეწება და პროგრესიც მაღე გახდება თვალშისაცემი.

დავით ნაჭყვიაძე
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის დიდი ქყონის №1 საჯარო სკოლის დირექტორი

საგანმანათლებლო პლატფორმა

CK-12-ის პლატფორმაზე ქართული მოსწავლეებისთვის სპეციალური გვერდი შეიქმნა

განათლების კოალიციის, CK-12-ის ფონდის და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივითა და ძალისხმევით, CK-12 პლატფორმაზე, დისტანციური სწავლების პროცესში ქართველი მოსწავლეების დასახმარებლად სპეციალური გვერდი შეიქმნა.

მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის შექმნილი სპეციალური გვერდის ონლაინ პრეზენტაცია გაიმართა, რომელშიც განათლების კოალიციის გამგეობის თავმჯდომარე ირინა ხანთაძე, CK-12-ის აღმასრულებელი დირექტორი ნირუ ხოსლა, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ლასან ხალილი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ეკა დგებუაძე მონაწილეობდნენ.

მხარეებს შორის თანამშრომლობა განათლების კოალიციასა და საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმას CK-12-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შედგა, რომელიც მიზნად ისახავს ქართულ ენაზე ღია საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების ხელმი-

სანდომობის გაზრდასა და დისტანციური სწავლების პროცესის მხარდაჭერას. ინიციატივა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან კოორდინაციით ხორციელდება.

- ✓ CK-12 წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო პლატფორმას, რომლის მიზანია ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ციფრული რესურსების საშუალებით. www.ck-12.org პლატფორმაზე განთავსებულია სახელმძღვანელოები და დახმარებელი რესურსები, მეტნილად, STEM-ის მიმართულებით. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 137 მილიონზე მეტმა სტუდენტმა და მასწავლებელმა გამოიყენა CK-12 რესურსები, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის, მისი ციფრული ნივნები, ადაპტაციური პრაქტიკული სავარჯიშოები, სამეცნიერო სიმულაციები. შეიქმნა 260 000-ზე მეტი ე.წ. „ფლექს ბუქი“, მოსწავლეებმა, ჯამურად, 790 მილიონზე მეტ შეკითხვას უპასუხეს და ჩატარებული საათების რაოდენობამ 20 მილიონი სასწავლო საათი შეადგინა.

პროექტის ფარგლებში, VII-IX კლასების მოსწავლეებისთვის, ქართულ ენაზე ითარგმნება და ადაპტირდება მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის ელექტრონული სახელმძღვანელოები.

მოსწავლეებს დისტანციურად შეეძლებათ მოიძიონ სა-

სურველი თემა, გადაიმეორონ განვლილი მასალა და ისწავლონ ახალი. CK-12 პლატფორმაზე ქართულ ენაზე ნათარგმნი და ადაპტირებული პირველი ელექტრონული სახელმძღვანელოები – მათემატიკა IX კლასი და ქიმია VII-IX კლასები მოს-



სურველი თემა, გადაიმეორონ განვლილი მასალა და ისწავლონ ახალი. CK-12 პლატფორმაზე ქართულ ენაზე ნათარგმნი და ადაპტირებული პირველი ელექტრონული სახელმძღვანელოები – მათემატიკა IX კლასი და ქიმია VII-IX კლასები მოს-

КВИЗИ КАК ЭФФЕКТИВНЫЙ ИНСТРУМЕНТ В РЕЖИМЕ ОНЛАЙН-ОБУЧЕНИЯ ИНОСТРАННОМУ ЯЗЫКУ В ВУЗЕ И ШКОЛЕ



БАЛАСАНИЯН МАРИАННА АЛЬБЕРТОВНА,
К.ф.н, Ассоциированный профессор
Самцхе-Джავახეთского государственного
университета, старший преподаватель
публичной школы №2 г.Ахалцихе

Многие учителя отмечают снижение мотивации к предмету по мере взросления детей. С психологической точки зрения это объяснимо, так как у старшеклассников складывается новая особая мотивационная структура учения, ведущее место в которой занимают мотивы, связанные с профессиональным самоопределением и подготовкой к самостоятельной жизни. Если для будущей профессиональной деятельности учащегося знание иностранного языка не является необходимым, профессионально значимым, интерес к нему падает. Очень трудно в такой ситуации просто заставить ученика учиться. Необходимо вызвать у

него непосредственный интерес, побуждающий ученика к контролю своих знаний. Одним из действенных методов создания такого интереса являются квизы или опросники.

Наиболее удачным представляется следующее определение квиз (quiz) * это задание, требующее умения логически мыслить и, следовательно, доказывать правильность своего ответа. Когда квиз дан на иностранном языке, мы имеем возможность проверить следующие речевые умения и навыки школьника:

- 1) чтение: прочитав и поняв написанное, он сумеет выполнить задание;
- 2) устную речь: ответ нужно сформулировать и озвучить на иностранном языке;
- 3) языковую догадку: многие неизвестные слова из-за сжатости высказывания и конкретности задач легко угадываются;
- 4) память: привлечение пассивного запаса слов и своей памяти, потому что квизовые задания очень часто содержат широкий спектр ситуаций, которые естественно перетекают друг в друга и т.д.

Общеразвивающие квизы по разной тематике в основном могут осилить только студенты и старшеклассники, однако, квизы по страноведению доступны ученикам средней и даже начальной школы, так как они содержат конкретную информацию в предельно сжатой форме и требуют очень короткого ответа, часто это одно слово (название места, имя человека и т.п.).


Удобнее всего строить квиз в виде теста, основанного на принципе выбора ответа из нескольких предложенных вариантов. Такого рода квиз может применяться на разных этапах работы, как над темой самостоятельного урока, так и при завершении работы над целым разделом по определенной теме.

Одной из самых удобных платформ, где можно создавать данного рода тесты-опросники является платформа под названием Quizizz (<https://quizizz.com/admin>). Указанная выше платформа позволяет нам находить удивительные викторины на разные темы, или создавать свои собственные и делиться ими со всем миром. Можно проводить викторину прямо в классе или использовать её для нескучного домашнего задания. Учителя могут контролировать процесс, переключая таблицу лидеров, таймер и другие настройки. Благодаря Quizizz, доступному на всех устройствах, учащиеся играют вместе, но каждый в своем собственном темпе. В конце педагогу остается проанализировать свою работу, использовать при этом подробные отчеты, чтобы понять, где ученики нуждаются в помощи.

В учебной литературе большое количество разнообразных квизов, но можно составлять их самостоятельно, принимая во внимание уровень обученности группы

или ученика. Квиз представляет собой очень эффективное упражнение, которое стимулирует самостоятельное мышление ученика, развивает умение кратко излагать сведения разнообразного характера. Простейшие формы составления квизов побуждают детей любого возраста составлять подобные опросники самостоятельно, используя различную справочную литературу или неисчерпаемые информационные источники Интернета.

Квизы способствуют развитию общеучебных умений, таких как: элементарные навыки исследовательской работы, умение ставить цель, работать с различными источниками информации, систематизировать найденный материал, оформлять его и излагать на русском языке перед аудиторией; квизы формируют креативную личность, тренируя следующие творческие умения: поиск многовариантных решений, ведение аргументированной дискуссии, рождение новых идей.



მუსიკალური ალზრდის ტრადიციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

უნიკალური ტრადიციებისა და ისტორიული წარსულის მქონე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“ თითქმის საუკუნეს ითვლის. ამ სკოლაში აღიზარდნენ მუსიკოსები, რომელთაც მე-20 საუკუნის ქართული სამუსიკო ხელოვნების

ისტორია შექმნეს და საკუთარი წვლილი შეიტანეს მსოფლიო სამემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში. „ნიჭიერთა ათწლედი“ კომპოზიტორთა, მუსიკოს-შემსრულებელთა, მუსიკისმცოდნეთა მრავალი თაობა აღიზარდა.

სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“ თავისი გამორჩეული სწავლების მეთოდოლოგიითა და მიღწევებით ქართული კულტურისა და სახელოვნებო განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერაა. სასწავლებლის პროფესიონალ პედაგოგთა გუნდის მიერ დღემდე შემონახულია და ვითარდება სამუსიკო სწავლების ის გამორჩეული მეთოდოლოგია, რომელიც „ნიჭიერთა ათწლედი“ წინა თაობების პედაგოგებმა შექმნეს.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში – „ნიჭიერთა ათწლედი“ „ბავშვთა მუსიკალური ალზრდის ტრადიციას“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

პროექტის „ღებატები უკეთესი განათლებისთვის“ მონაწილე მასწავლებლებს სერტიფიკატი გადაეცა

პროექტის „ღებატები უკეთესი განათლებისთვის“ მონაწილე მასწავლებლებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ეკატერინე დგებუაძემ სერტიფიკატი გადასცა და პროექტის წარმატებით დასრულება მიულოცა. დაჯილდოების ცერემონიას მონაწილე სტუმრები როგორც ტრადიციულ, ასევე დისტანციურ ფორმატში ესწრებოდნენ.


მინისტრის მოადგილემ მომავალი თაობების ალზრდის პროცესში პედაგოგების როლის მნიშვნელობაზე ისაუბრა და მასწავლებლებს პანდემიის პირობებში განვლილ თავდაუზოგავი შრომისთვის მადლობა გადაუხადა.

„ღებატები უკეთესი განათლებისთვის“ საქართველოს დე-

ბატებისა და განათლების ინსტიტუტის ინიციატივითა და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. მის მთავარ მიზანს მოსწავლეების თავისუფალ და დამოუკიდებელ მოქალაქეებად ჩამოყალიბება და ისეთი უნარჩვევების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს, როგორცაა: კონსტრუქციული მსჯელობა, არგუმენტაცია, მასალების მოძიება, ორატორობა, გუნდურობა, დროის მართვა, ოპონენტის პატივისცემა და სხვ.

პროექტის პირველი ეტაპი, 2020 წლის თებერვალში, საქართველოს სხვადასხვა სკოლის დებატების კლუბის ხელმძღვანელების გადამზადებით დაიწყო. კორონავირუსის პანდემიის შედეგად კი, პროექტმა იცვალა სახე და აქტივობები დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. შესაბამისად, დებატების კლუბების გახსნა, სუპერვიზირება, მოსწავლეთა მომზადება და საჯარო დებატები, თუ დებატების კონკურსები, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ონლაინ ფორმატში განხორციელდა.

პროექტის მეორე ეტაპზე, თბილისის, იმერეთის, კახეთის, შიდა ქართლის, აჭარისა და რაჭის რეგიონებში იგეგმება ადგილობრივი პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და საჯარო სკოლებში დებატკლუბის ქსელის ფორმირება, რის შედეგადაც მასწავლებლები დაეუფლებიან მსოფლიოში პოპულარულ და ეფექტურ საგანმანათლებლო ინსტრუმენტს.



გავიხსენოთ მუსიკალური ალზრდის ტრადიციას

„ნიჭიერთა ათწლედი“

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა

სკოლაში პანდემიის პირისპირ

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კანდემიის ფონზე

18 ოქტომბერს, საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე, განათლების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

„როგორც მოგეხსენებათ, გუშინ დაინიშნა სტრატეგიის სა-უნივერსიტეტო სივრცეები დაბრუნების პირველი ეტაპი, რაც გულისხმობს ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების საუნივერსიტეტო სივრცეებში ჩატარებას. პირველი რიგში, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ის პროცესი, რომელიც გუშინ დაინიშნა, მიმდინარეობს ძალიან მშვიდობიანად და, რაც მთავარია, სამედიცინო პროტოკოლის ზედმინეზნით დაცვით. რაც შეეხება არალაბორატორიული და არაპრაქტიკული მეცადინეობების, ლექციების საკითხს, უნივერსიტეტები უფლებამოსილი არიან, ეს პროცესი დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში აწარმოონ. მთავარი აქვს გახლავთ ის, რომ საუნივერსიტეტო სივრცეები, ყველა უნივერსიტეტში, სამედიცინო პროტოკოლი არის ზედმინეზნით დაცული.“

რასაკვირველია, იგივე ეხება სასკოლო სივრცეებს. როგორც იცით, სრულად კონტროლდება სიტუაცია და იმ სკოლებში, სადაც ფიქსირდება კოვიდ შემთხვევები, ცხადია, ჯანდაცვის სფეროს რეკომენდაციებით, სიტუაციიდან გამომდინარე, ხდება ან ცალკეული კლასის დისტანციურ რეჟიმში გადაყვანა, ან საერთო კლასი, ან მთლიანად სკოლის, იქიდან გამომდინარე, თუ როგორი სიტუაცია ვვაქვს. აქ მთავარია, რომ ჩვენ მენარჩუნებული გვქვია სასწავლო პროცესის ბალანსი და, რაც მთავარია და ყველაზე მნიშვნელოვანი, ეს არის ადამიანის ჯანმრთელობის საკითხი. შესაბამისად, როგორც გითხარით, სამედიცინო პროტოკოლი, სასწავლო სივრცეები, დაცულია ზედმინეზნით.

ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მინდა გითხარით, მომავალ კვირას ეხება ეს ამბავი – როგორც იცით, საარჩევნო უბნები განთავსებულია ზოგიერთ სკოლაში და ის სკოლები, სა-

დაც არის საარჩევნო უბანი, არჩევნებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების გამო, მომავალი კვირის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს, დროებით, გადავლენ დისტანციურ რეჟიმზე. ეს არის დროებითი, მხოლოდ იმ სკოლებისთვის, კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ, სადაც საარჩევნო უბნები და ყველასთვის ვასაგებია, რომ ეს არის იმისთვის, რომ იქ მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდეს.

ასევე, მინდა გითხარით ძალიან სასიხარულო ამბავი, რომ ხვალ არის ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნა. მინდა, მთელ საზოგადოებას მივულოცო ეს ამბავი, რადგანაც ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქვემოკლდე მსოფლიო სტანდარტის მქონე უნივერსიტეტი და მისი გახსნის ცერემონია თქვენ ყველამ შეგიძლიათ, პირდაპირ ეთერში იხილოთ.“

მინისტრმა ფუნქციონირების შეკითხვებსაც უპასუხა. VII-XII-კლასებთან დაკავშირებით მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა, რომ რაც შეეხება მათ საკლასო ოთახებში დაბრუნებას, სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს რაც შეიძლება მაღალ მოხდეს. „ცხადია, ეს დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე. ჩვენი მიზანია, რომ ეს მოხდეს ამ სემესტრში, კონკრეტულ თარიღთან დაკავშირებით, რასაკვირველია, საზოგადოებას წინასწარ ვაცნობებთ. ეს დამოკიდებულია, მხოლოდ და მხოლოდ, ეპიდსიტუაციაზე.“

მინისტრმა კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რომ საჭიროა სამედიცინო სფეროს რეკომენდაციების ზედმინეზნით დაცვა იმისთვის, რომ ჩვენს ბავშვებს ჰქონდეთ საშუალება, საკლასო ოთახებში გააგრძელონ სასწავლო პროცესი. „აქვე მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ განათლების სამინისტრომ ჩვენს საზოგადოებას შესთავაზა ონლაინ მეთოდის პარალელურ რეჟიმში გაგრძელება. რას გვულისხმობ ამასი, როგორც იცით, I-VI კლასების მოსწავლეები სასკოლო სივრცე-

ში არიან, თუმცა, თუ კონკრეტული ოჯახი, მშობელი აირჩევს ონლაინ რეჟიმს, თუ ურჩევნიათ, რომ მოსწავლემ ონლაინ გააგრძელოს სწავლა, ეს შეთავაზება აქვს. მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა, ცხადია, უკვე დარეგისტრირებულია ამ რეჟიმში, მაგრამ ახლაც, თუ ვინმეს აქვს ამის სურვილი, ნებისმიერ მომენტში შეუძლია, ონლაინ რეჟიმში გააგრძელოს სწავლა. ეს ორი პროცესი პარალელურად მიმდინარეობს, შესაბამისად, ძალიან მოქნილი სისტემაა და თითოეულ ოჯახს აქვს ამ არჩევნის გაკეთების საშუალება.“

სოციალურ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში ლექტორები პირდაპირების გარეშე არიან სტუდენტებთან, მინისტრმა დეზინფორმაცია უწოდა და კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უსაფრთხოების წესები დაცულია.

„როგორც იცით, მთელი რიგი დეზინფორმაციული ამბები გავრცელდა, როგორც გითხარით, ყველა უნივერსიტეტში დაცულია ზედმინეზნით სამედიცინო პროტოკოლი. როგორც ჩვენ, ასევე ჯანდაცვის სამინისტრო, პარალელურ რეჟიმში, ვაზრდენტ უნივერსიტეტებზე დაკვირვებას და თუ დაფიქსირდება რაიმე გადაცდომა, ცხადია, იქნება შესაბამისი რეაქცია. ამჟამად, ყველა უნივერსიტეტში, როგორც გითხარით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებისთვის და იქაც, უნივერსიტეტების მიცვათ დაცვა გევა, რომ მაქსიმალურად მოქნილი გრავალი ყოველიოყ განეროილი. ამის შესახებ უნივერსიტეტებმა აცნობეს თითოეულ სტუდენტს. გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული დისტანცია, ძალიან დიდი ყურადღება ექცევა იმას, რომ საუნივერსიტეტო სივრცეში ყველა ადამიანი – სტუდენტი, პროფესორი, თანამშრომელი – იყოს პირბადით. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია და ამას ყოველდღიურად გავაკონტროლებთ.“



ახალ სეზონის ახალი რეკომენდაციები

სამწუხაროდ, საქართველოს განათლების სისტემას ახალ სასწავლო წელსაც უწევს პანდემიურ და საგანგებო რეჟიმში მუშაობა – ზოგან ეს დისტანციურ მეთოდში გამოიხატება, ზოგან კი – მთელ რიგ აკრძალვებსა და პრევენციულ ღონისძიებებში, რაც ახალი ტიპის კორონავირუსითაა გამოწვეული. ცხადია, ასეთ საგანგებო რეჟიმში სპორტის გაკვეთილებს განსაკუთრებულ სიძნელეებს უწყობს და განათლების სამინისტროც ახალ-ახალ ღონისძიებებს მიმართავს მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

სამინისტროს ამ საქმეში ახალმშენილი „სპორტის, ფიტნესისა და ფიზიკური განათლების ეროვნული ასოციაცია“ დაეხმარა, რომელსაც ოლიმპიური ჩემპიონი შთა საბარელი ხელმძღვანელობს. მათი ეგიდით, სექტემბრის ბოლოს, თბილისში, „ვეროპის სპორტის კვირულის“ ფარგლებში, აღინიშნა „ფიტნესის ეროვნული დღე ევროპისთვის“ – სხვადასხვა სპორტულ აქტივობებთან ერთად შედიოდა 3X3 კალაბურთი, ქროსფიტი, სპორტული ვიქტორინა, ნახატების კონკურსი და სხვა. მოგვიანებით, მათი ინიციატივით, თბილისისა და ქუთაისის ფიტნეს-კლუბებში მომზადდა ვიდეორგოლები, რომლებიც უახლოეს პერიოდში დაეგზავნებათ საჯარო სკოლებს, როგორც სარეკომენდაციო ვიდეომასალა, როგორ განახორციელონ ფიზიკური აქტივობები სახლისა თუ სკოლის პირობებში. ამ რგოლების მომზადებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეებიც და სპორტის პედაგოგებიც – 214 მხოლოდ მასწავლებელი იყო ჩართული, სკოლებს კი დამატებითი თვალსაჩინოება ექნებათ ფიზიკური აქტივობების განსახორციელებლად.

რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებები უსაფრთხოების ზონების სრული დაცვით ჩატარდა – მონაწილეები იცავდნენ დისტანციას (სადაც ეს შესაძლებელი იყო, ეკეთათ პირბადეები, აქტივობების ადგილას განთავსებული იყო სადეზინფექციო სითხეები და სხვ.).

სპორტული ვიქტორინა ფიტნესის თემატიკით ჩატარდა და მისი გამარჯვებულები გახდნენ გიგი ნონიკაშვილი (გორის №1 საჯარო სკოლა), ნინო და ელენე გაზდელიანები (თბილისის №22 საჯარო სკოლა).



თავის მხრივ, გარკვეული რეკომენდაციები შეიმუშავა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომაც, რაშიც დაეხმარა კონტროლის ეროვნული ცენტრის ექსპერტები მონაწილეობდნენ. მათი უმთავრესი რეკომენდაცია სკოლებისადმი იგივეა, რაც ზოგადად ჯანდაცვის სისტემისა, რომელიც მთელ ქვეყანაში მოქმედებს: სოციალური დისტანცირება და ჰიგიენის ელემენტარული ნორმების დაცვა.

ამ რეკომენდაციებით, სპორტის გაკვეთილის ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერ სივრცეში: ღია მოედანი თუ დახურული დარბაზი, დერეფანი, სააქტო დარბაზი, ფოიე, საკლასო ოთახი თუ სხვა... ოღონდ ყველგან აუცილებელია 1-მეტრიანი დისტანციის დაცვა და სადეზინფექციო ხსნარები, ხოლო დახურულ სივრცეში – დეზობარიერი.

ჩვენს რეალობაში, ძირითადად, მაინც ძველი სკოლები სჭარბობს, სადაც შედარებით მცირე ზომის დარბაზები – 10X18, თუმცა არის ახალი სკოლებიც, 12X24 ფართის დარბაზებით (ცხადია, არის განსხვავებული ფართებაც და ასეთი დაყოფაც პირობითია, არადა ძველი სკოლების ნაწილსაც აქვს დიდი მოცულობის დარბაზები).

თუმცა აქაც განსხვავებული მდგომარეობაა, დარბაზის ფართიდან და მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ დარბაზის ფართი 180 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 20-ზე მეტია, კლასი ორ ჯგუფად გაიყოფა, ხოლო სპორტის გაკვეთილის ძირითადი ნაწილი ორ ნაწილად ჩატარდება: ერთი ჯგუფი ფიზიკურ აქტივობებშია ჩართული, მეორე კი ამ დროს 1-მეტრიანი დისტანციის დაცვით ზის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და თავის რიგს ელოდება, ამ დროს დადგომის შემდეგ კი, ჯგუფები ცვლიან ადგილებს... იმ შემთხვევაში, თუ დარბაზი 180 კვადრატულ მეტრად, ფიზიკური აქტივობისას, კლასის ორ ჯგუფად გაყოფა სავალდებულო არაა.

იქ, სადაც დარბაზი 288 კვადრატულ მეტრად, ანუ დარბაზი 12X24-ზეა, შესაძლებელია, ერთბაშად, ორი კლასის ერთად ვარჯიში, ოღონდ მათთვის გამოყოფილი სივრცეები მკვეთრად უნდა იყოს იზოლირებული ერთმანეთისგან და თან ზემოაღნიშნული უსაფრთხოების რეკომენდაციებიც დაცული უნდა იყოს.

თუმცა საქართველოში არსებობს სკოლები და არცთუ ცოტა, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ სპორტული ზაზა – არც დახურული დარბაზი და არც ღია მოედანი. მათ შეუძლიათ, აღნიშნული მიზნით, ანუ ფიზიკური აქტივობებისთვის გამოიყენონ ნებისმიერი სივრცე (მაგალითად – დერეფანი), ვინაიდან სპორტის გაკვეთილების უმთავრესი მიზანია სწორედ ფიზიკური აქტივობაა (ხელების, წელისა თუ სხეულის სხვა ნაწილების ვარჯიში, სამწიგნობო ვარჯიშები – მონყოფა, სიარული და სხვა) და არა იმდენად გუნდური-მომრედი თამაშები. ცხადია, სადაც ამის საშუალებაა, არც გუნდურ თამაშებს უპრეზერვაციო, ოღონდ ამ დროს გაცილებით მეტია კონტაქტის ალბათობა. თუ როგორ შეიძლება სპორტის გაკვეთილების წარმართულად ჩატარება იმ სკოლებში, რომლებსაც არა აქვთ სპორტული დარბაზი, ამის მაგალითად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტ გია ბეგიაშვილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის საჯარო სკოლა მოჰყავს:

„ბოლოს რომ ვიყავი ამ სოფელში, 78 მოსწავლე ჰყავდათ. 2-სართულიანი ძველი შენობაა, რომელსაც საერთოდ არ ჰქონდა სპორტული მოედანი. სამაგიეროდ, ჰქონდათ კორიდორი, ისიც – ძალიან ვიწრო, სადაც მასწავლებელ სოსო ჩაგანავას მაგისი ჩოგბურთის მაგიდა ედგა. ამის მიუხედავად, იმდენად აქტიური გაკვეთილი ჩატარა, შეიძლება, ზოგმა დიდ დარბაზში ვერ ჩატაროს. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ სწორად დაგეგმავ გაკვეთილს, კორიდორშიც შეიძლება აქტივობების მიღწევა. მის აქტივობებში შედიოდა მონყოფა, ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები, ბურთის მოწოდება და მერე ამ ბურთზე ბავშ-

ვების უკუკავშირი. ყოველი ჩანოდევის მერე ბავშვები მაგიდას წრეს ურწყამდნენ, ჰქონდათ სპეციალური დარბაზი, რომელზეც ხტომებს აკეთებდნენ, მერე კი მიდიოდნენ პირვანდელ ადგილას... მასწავლებელს ძალიან კარგად ჰქონდა დალაგებული ყველაფერი.“

სამინისტროს სკოლებს სპორტის იმ სახეობების რეკომენდაციაც მისცა, რომელთა გამოყენებაც უპრიანი (ოღონდ არა სავალდებულო – ამას თავად სკოლები ირჩევენ) დახურული სივრცეში: მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, მძლეოსნობა (ცხადია, მისი მხოლოდ გარკვეული დისტანციები და არა ყველა), ტანვარჯიში, ჩოგბურთი, ფრენბურთი და მოძრავი თამაშები. შესაძლებელია ბურთიანი გუნდური სათამაშო სახეობებიც – ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, რაგბი, თუმცა მათი შემოტანა რეკომენდებულია მხოლოდ ტექნიკური ელემენტების სწავლის დონეზე ისე, რომ მოსწავლემ შორის ფიზიკური კონტაქტი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი: პასი, ტყორცნა, სხვადასხვა ტექნიკური ელემენტის დამუშავება და ა.შ. ვიმეორებ, საუბარია დახურულ დარბაზზე და არა ღია მოედანზე, დარბაზებში კი ასევე აუცილებელია სხვა დამატებითი დამცავი ღონისძიებების გატარება: უნდა მოწესრიგდეს გასახდელეები, სადაც 1-მეტრიანი დისტანციის დაცვით უნდა გაკეთდეს საკიდები, იქ უნდა შევიდნენ ორგანიზებულიად, გარკვეული რიგითობის დაცვით – არანაკლებ 1-მეტრიანი დისტანციისა და სხვ. ამასთან, საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ ინვენტარს უნდა ჩაუტარდეს სრული დეზინფექცია და სხვ., სადეზინფექციო სითხეებზე, დეზობარიერსა და სხვებზე ზევიითაც გითხარით. ამასთან, უსაფრთხოების ზომების დაცვამ, შეიძლება, სპორტის მასწავლებელს სკოლის ნებისმიერი მასწავლებელი დაეხმაროს.

სამინისტროს რეკომენდაციებში ცალკე პუნქტადაა გამოყოფილი დაწყებითი საფეხური – I-IV კლასები. ყველა შემთხვევაში, მათთვის შეიძლება 15-წუთიანი გასეირნება (ცუდ ამინდში – დახურულ სივრცეში), ოღონდ 1-მეტრიანი დისტანციის დაცვით. გასეირნებისას შეიძლება ისეთი ფიზიკური აქტივობა, როგორცაა სამწყობრო (მონყოფა, სიარული) თუ ზოგადგანმავითარებელი (ზედა-ქვედა კიდურების, წელის) ვარჯიშები, მოძრავი თამაშები თუ სხვა.

ამასთან, „ახალი სკოლის მოდელიდან“ გამომდინარე, სამინისტროს უკვე ფიზიკური აღზრდის 24 ექსპერტი ჰყავს, რომლებიც წინა წლებში გადაამზადდნენ. მათი ჩართულობით, დაწყებულია სამუშაო შეხვედრები რეგიონებში (ოღონდ ეს, ჯერჯერობით, ონლაინ რეჟიმში ხორციელდება), კვირამი სამი დღე იმ სკოლების მასწავლებლებს ხვდებიან, რომლებიც „ახალი სკოლის მოდელი“ არიან ჩართული (ასეთი სკოლების რიცხვი 315-ია), ხოლო 2 დღე იმათ ეთმობათ, რომლებიც არ არიან ჩართული ამ პროგრამაში. მსგავს შეხვედრებში ექსპერტთა ფუნქციაა, მასწავლებლებს დააგეგმონ კომპლექსური დავალებები – დისტანციური სწავლებისას რა გააკეთონ ბავშვებმა როგორც ფიზიკურ, ასევე თეორიულ ნაწილში. ეს თეორიული მოიცავს ცხოვრების ჯანსაღ წესს, ოლიმპიზმს, ფიზიკური აღზრდის იტორიას. ფიზიკური აღზრდის ნაწილში მიღის პროექტებზე მუშაობა. მაგალითად, კლასი გაიყოს რამდენიმე ჯგუფად და ყველა მიეცეს კონკრეტული დავალება. ვთქვათ, ცხოვრების ჯანსაღი წესი ერთი დიდი თემაა, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია, დამატებით ცალკეულ ნაწილებად და ერთ ჯგუფს მისცეს, ვთქვათ, ჰიგიენა, მეორეს – ფიზიკური აქტივობა, მესამეს – დაბალანსებული კვება, სხვას – მანერ ჩვევები და ა.შ., რაზეც ბავშვები აკეთებენ პროექტებს. გარკვეული პერიოდის შემდეგ, იმართება მათი პრეზენტაცია და დისკუსია.

ქართული ქსოვილის ორნამენტის განუყოფელი ელემენტი

საქართველოს ხელოვნების სასახლეში ქართული სამეფო და ეროვნული სამოსის უმდიდრესი კოლექცია ინახება. მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში გამოფენილია ბაგრატიონების, შერვაშიძეების, ერისთავების ძვირფასი თევლებითა და ლითონებით დამშენებული ტანსაცმლის უნიკალური კოლექცია, ექსპონირებულია XVIII საუკუნის ჩინეთის იმპერატორის ძვირფასი მოსახამიცი არის, ოქროს ძაფით შესრულებული ნაქარგობით, ე.წ. ოქროს დრაკონების ხალათი. აქ ნახავთ სარიტუალო გვირგვინს, რომელსაც 48 ბრილიანტი ამშვენებს, თამარ მეფის კაბას შემკულს 4 ათასზე მეტი წვრილი და მსხვილი მარგალიტით (სოლიკო ვირსალაძის მიერ ვარძიის ფრესკიდან აღდგენილი).



და დააკვირდით სახელოების დაბლოებას, ეს მანუეტები ფრანგ ოსტატებს აბრეშუმის ყვავილებით გაუკეთებიათ. – ვკითხულობთ ხელოვნების სასახლის – კულტურის ისტორიის მუზეუმის ფელსუქვერდზე.

საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზები დამთავლებულია მოლოდინში. მუზეუმში სტუმრობისას, თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, იხილოთ ლეონარდო და ვინჩის სკოლის საუკეთესო წარმომადგენლის, ბარბიზონელი მხატვრების და გვიდო რენის მიმდევრების შესანიშნავი ტილოები. კიდევ ბევრ საინტერესო ექსპონატს ინახავს ხელოვნების სასახლე – წიგნების უნიკალური კოლექცია, ქართველ მეფეთა და წიგნის პირველგამომცემელთა შესანიშნავი პორტრეტები, პირველნაბეჭდ ქართულ წიგნებს, ძვირფას ხელნაწერებს და სხვ. მუზეუმის ფონდებში დაცულია ძველი და თანამედროვე ქართული თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის ისტორიის ამსახველი უმდიდრესი მასალა (დანყებულნი ვანში აღმოჩენილი ანტიკური პერიოდის თეატრალური ნიღბით და დამთავრებული XX ს-ის ავანგარდული ხელოვნების ნიმუშებით), მათ შორის: XVII ს-ის ფერწერული ნამუშევრები, სპარსული მინიატურები, გერმანული და ფრანგული გრაფიკები, თანამედროვე ხელოვნათა, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეების პირადი წერილები, ხელნაწერები, არქივები. ფონდებში, ასევე, დაცულია თეატრალური კოსტიუმები, მემორიალური ნივთები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები, აფიშები, პროგრამები, კინოფირები, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების კოლექციები და სხვა საინტერესო მასალა.



მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ გვაქვს კოსტიუმისა და ქსოვილის მუზეუმი, ქართული კულტურა, ამ მხრივ, ძალიან მდიდარი და მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, შუა საუკუნეების ქართული ქსოვილების ფიზიკური ნიმუშები საკმაოდ მცირედაა შემორჩენილი, რადგან ისინი რთულად ინახება. ამიტომ ქართული პრინციპისა და ქსოვილების შესახებ ინფორმაციის წყარო მეტწილად ფრესკები, ტილოები, ბარელიეფები და ტექსტური მასალებია. მათი მეშვეობით საკმაოდ ბევრი შეგვიძლია შევიტყოთ – როგორ იყო ქართველი დიდგვაროვნების, ერისკაცებისა თუ სასულიერო პირების კოსტიუმები, გაფორმება და აქსესუარები.

„ქართულ ქსოვილში შეიძლება დაინახოთ ვენეციელი დოფების ქსოვილისათვის დამახასიათებელი ორნამენტი, ასევე სპარსეთის შაჰების გარდერობში არსებული სამოსის და მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი ორნამენტი. ეს ყველაფერი ქმნის იმ განუმეორებელ ეფექტს, რომელიც მხოლოდ საქართველოშია.“ – ამბობს ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია.

2016 წელს, ხელოვნების სასახლემ, ქართული ტრადიციული ქსოვილის კვლევა დაიწყო. 2 წლის განმავლობაში, მხატვრებმა და მკვლევარებმა საქართველოს ეკლესიები მოიარეს, ფრესკებზე გამოსახული საერო პირების სამოსი ზუსტად გადმოხატეს და შეისწავლეს. 2018 წელს, გამოიცა წიგნი „ქსოვილი საქართველოდან“, რომელში გაერთიანებული მასალა კარგად ასახავს,

რამდენად ფერადი, თანამედროვე და მრავალფეროვანი იყო საუკუნეების წინანდელი საერო თუ სადღესასწაულო სამოსი. ასევე, როგორ იყო სხვადასხვა პერიოდში ჩაცმის კულტურა ქვეყანაში და რა ახდენდა მასზე გავლენას.

ხომ საინტერესოა როგორ იმოსებოდნენ ძველ საქართველოში ქალბატონები? გემოვნებით და გაუხუნარი ფერებით, რისი ნიმუშაცაა ანეტა ამილახვრის აბრეშუმის უნიკალური სამოსი. კორსეტი, 1900 წელს, პარიზში შეკერილი, კაბა – 1898 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ანეტამ ისინი უცხოეთიდან გამოიწერა. ისევე როგორც ბევრს, ანეტა ამილახვრისაც ევროპაში ემიგრაციამ მოუწია, გარდერობიც თან წაიღო. სწორედ ამიტომაც საქართველოს თითქმის აღარ შემორჩა ევროპულ-თბილისური მოდის უნიკალური ნიმუშები. „ამ დანაკლისის თუ ხარვეზის შეხებას უკვე წლებია ვცდილობთ, ამ საქმეში განსაკუთრებულია დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის თანადგომა, მათი დახმარებით კიდევ ერთ პატარა გამარჯვებას მივალნივთ და უცხოეთიდან დავიბრუნებ ტფილისელი ქალბატონის ეს უნიკალური სამოსი. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ფონდის მხარდაჭერით, ანეტა ამილახვრის სამოსი საქართველოშია. ამბობენ, სიღამაზე დეტალებში შეიცნობაო, პო-



ესტუმრეთ მარადიული სიყვარულის სიმბოლოდ ქცეულ სასახლეს, რომელიც 2020 წლის მსოფლიოს საუკეთესო ღირსშესანიშნაობათა შორის დასახელდა და ევროპის საუკეთესო მუზეუმის ნომინანტთა შორისაა. ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმში დაცულ კოლექციებს, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არა მხოლოდ ეროვნული, ზოგადასაკებობრივი მნიშვნელობა ენიჭება.

მოამზადა ლალი თვალაბიშვილმა

გამომცემლობა „ახალი განათლება“
ბათუმის განყოფილება

სამოქალაქო ექსპორტის კაბა 5 ლარი
სამოქალაქო ექსპორტის კაბა 12 ლარი

ბავშვთა განათლების მეთოდური მასალები 10 ლარი
პროფესიული უნარები 9 ლარი

საბავშვო მასალები 6.50 ლარი
ქართული მასწავლებლების გამოცემის 11 ლარი
პროფესიული უნარები 15 ლარი
300 პედაგოგიური მეთოდური მასალები 8 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რაკვიზიტაზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ზ/კ LBRTGE22
შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით: 555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

წიგნის თარი

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ქართული ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ნიმუშიანი გაკვეთილები დაწყებით კლასებში 6.50 ლარი
ქართული (I-VI კლ.) მასწავლებლების გამოცემის 11 ლარი
პროფესიული უნარები თეორიული მასალა 15 ლარი
ტექსტის გააზრება ანალიტიკური წერა 15 ლარი
პროფესიული უნარები 300 მეთოდური მასალები 8 ლარი